პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 75 (19217) კვირა, 31 მარტი, 1985 წელი. ფასი 3 კაპ.

„წითელი შაბათობა“ გვისპყრია

საწარმოებში, ორგანიზაციებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, სასწავლებლებსა და სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტებში — ყველგან ამ დღეებში მიმდინარეობს კრებები და მიტინგები, რომლებზეც რესპუბლიკის მშრომელები კისროლობენ გადდებულ სოციალისტურ ვალდებულებებს ვ. ი. ლენინის დაბადების 115 წლისთავისადმი მიძღვნილი კომუნისტური შაბათობის აღსანიშნავად. გადაქცეიან 20 აპრელი ნამდვილად საყოველთაო-სახალხო დღესასწაულად, კიდევ ერთხელ დადასტურონ, რაოდენ სასიხარულოა შრომა საყვარელი სამშობლოს სასარგებლოდ — ასეთია ქალაქისა და სოფლის მშრომელთა მისწრაფება.

რუსთავის საწარმოო გაერთიანება „ქიმბოჭკოს“ გრეხისა და გაკეთების ოპერატორმა ც. ქიმუშაძემ ვალდებულება აიღო შაბათობის დღეს ორი დღიური ნორმა შეასრულოს. მის თაოსნობას მხარი დაუჭირა საამქროს ყველა მგრეხავმა. საწარმოო გაერთიანება „საქპოლიმერკონტეინერის“ პოსტმასის შემდეგებელმა ნ. გამყრელიძემ წამოაყენა ინიციატივა 20 აპრილისათვის შეასრულონ ოთხწლიანი გეგმა. ამ ინიციატივას მხარი დაუჭირა მთელმა კოლექტივმა.

შეჯიბრების ავანგარდში არიან ამიერკავკასიის რკინიგზის, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მშრომელები, გურჯაანის, ხობის, სხვა რაიონების მევენახეები. ამ დღეს რესპუბლიკის მშენებლები მიღიონ მანეთისაზე მეტ სამშაოებს შეასრულებენ. სამირკვლის ჩაუყრიან საცხოვრებელ სახლს, რომელიც შენდება აეჯლის მინის ქარხნის მშრომელებისათვის. კვების მუშაკები შაბათობის დღეს დაიწყებენ ახალგაზრდობისა და სტუდენტთა XII მსოფლიო ფესტივალის სიმბოლიკისი პროდუქციის გამოშვებას.

ლენინური კომუნისტური შაბათობის მომზადებისა და მოწყობის ღონისძიებანი განიხილეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამუშაო ჯგუფის სხდომაზე.

სამუშაო ჯგუფს სხდომის შედეგები შეაჯამა მისმა ხელმძღვანელმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა ბ. ვ. ნიკოლსკიმ.

• • •

ტყიბული. (საკ. კორ.). „აღმოსავლეთ-2“ შახტის კოლექტივი

- შრომის ზეიმის ალსანიშნავად.
- ემზადება 500-მდე მეშახტე.
- ხუთშაბათის ფონდში.

აქტიურად ემზადება ვ. ი. ლენინის დაბადებიდან 115 წლისადმი მიძღვნილ „ოქტომბერ“ შრომის ზეიმის შესაბამისად. მეშახტეებმა 20 აპრილ შრომის უმაღლესი ნაყოფიერების დღედ გამოაცხადეს. შაბათობის მომწყობ ბრიგადებში დაზუსტებულია ყველა უბნის, ცალის და ბრიგადის საშუშაო გეგმები. „წითელ შაბათობაში“ მონაწილეობას მიიღებს 500-მდე მეშახტე. ისინი ამ დღეს 550 ტონა ქვანახშირს ამოიღებენ და ხუთშაბათის ფონდში 1000 მანეთს გადარიცხავენ. ბევრი საიჯარო ბრიგადა იმუშავებს დაზოგილი ელექტროენერგიით და მასალებით. ქვანახშირის ამოღება მექანიზებულ კომპლექსის ბრიგადის ხელმძღვანელმა გურგენ გაპრიელიანმა, რომელსაც ახლახან საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატის წოდება მიენიჭა, გადაწყვიტა შაბათობის დღეს ქვანახშირის ამოღების პირადი ნორმა 150 პროცენტით შეასრულოს.

• • •

ზნაური. (საკ. კორ.). ლენინური შაბათობის ღირსეული შეხვედრისათვის თავდადებული შრომა გაჩაღებული ზნაურის რაიონის მეცხოველეობის ფერმებში. საქონლის კარგი მოვლა-პატრონობით ამტკიცებს პროდუქტების წარმოება. საზოგადოებრივმა მეურნეობებმა წელს იანვარ-თებერვალში სახელმწიფოს ორჯერ მეტი ხორცი მიაყიდეს, ვიდრე შარშან ამავე პერიოდში, ხოლო რძე — 35 ცენტნერით მეტი. განსაკუთრებით გამოჩინეს თავი მუგუთელმა და ნოელმა მეცხოველეებმა. ფერმის მუშაკებმა იკრეს მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის ნახევარი წლის დავალება ვ. ი. ლენინის დაბადების 115 წლისთავისათვის გაანაწილდნო.

საამქროს რჩეული

ორი წელია, რაც კომკავშირელი გოგონა მაია სეფიაშვილი თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანებაში მოვიდა და დროის მოკლე მონაკვეთში თავისი საქმის საუკეთესო მცოდნე გახდა, საუცხოოდ დაეუფლა მქსელავის პროფესიას. მის მიერ შესრულებულ სამუშაოს კონტროლი არ სჭირდება. შრომისადმი პატიოსანი დამოკიდებულება, თავდადება შეუმჩნეველი არ დარჩენილა. ახლახან მას გაერთიანების მოსამზადებელი საამქროს საუკეთესო მქსელავის წოდება მიენიჭა.

სურათზე: მაია სეფიაშვილი.

ს. კილაძის ფოტო.

მოწინავეთა მხარდამხარ

თანამედროვე გამოთვლითი ტექნიკის გამოყენებლად ვერ მივაღწევთ დიდ ეფექტს სახალხო მეურნეობაში, მხოლოდ უახლესი ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელებისა და მეთოდების დამუშავების საფუძველზე შეიძლება გასაქანს ვერ პოულობს. დადგა დრო სამინისტროებისა და უწყებების კარგი მუშაობის კრიტერიუმად მივიჩნიოთ არა მარტო მათი საფინანსო-სამეურნეო მდგომარეობა, — არამედ მეცნიერული სიახლეების დანერგვით მიღებული ეკონომიკური ეფექტი. — ეი მართვის ავტომატიზებული სისტემის სამი უმთავრესი შემადგენელი ნაწილი, რომელთა დინამიკური კავშირი განაპირობებს მის თეორიულ და, რაც ყველზე არსებითია, პრაქტიკულ ღირებულებას.

ამიტომ მეცნიერული კვლევის ეფექტიანობის ამაღლებისა და წარმოებასთან მეცნიერების ინტეგრაციის პრობლემურ საკითხებს უდიდესი ყურადღება მიაქცია საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის VI პლენუმმა. ეს საკითხი პრობლემატური დღესაც არა მარტო ჩვენი რესპუბლიკის, არამედ კავშირის მასშტაბითაც. ნიმდენად საყოველთაოა, რომ მის აშკარა მოწინააღმდეგეს ვერც ივოვი. მაგრამ ეს როდი ნიშნავს, თითქოს ყველას ესმოდეს მეცნიერების როლი. ამიტომ კარგი აზრი ხშირად ცხოვრებაში გასაქანს ვერ პოულობს. დადგა დრო სამინისტროებისა და უწყებების კარგი მუშაობის კრიტერიუმად მივიჩნიოთ არა მარტო მათი საფინანსო-სამეურნეო მდგომარეობა, — არამედ მეცნიერული სიახლეების დანერგვით მიღებული ეკონომიკური ეფექტი. მეცნიერული მიღწევების დანერგვის საკითხს მთელი სკრიპოზიუმი უნდა მოეკიდნენ რესპუბლიკის მსუბუქი, კვების, ხე-ტყის დამამუშავებელი მრეწველობის სამინისტროების საწარმოობი და გაერთიანებები, სხვანაირად ისინი ვერ შეამცირებენ ხელის შრომის ხვეულ პროგრესის გამოყენებას ამუხრუჭებს ხარვეზები ეკონომიკურ მექანიზმში, რაზედაც როგორც ცნობილია, მითითებულია სკკპ XXVI ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის შემდგომი პლენუმების მასალებში.

1984 წლის 26 აპრილის რესპუბლიკურ პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე ამხ. ე. ა. შევარდნაძემ აღნიშნა, რომ „...ბაღლებად ეხდიდეთ სიახლისა და შემოქმედებითს გამბედაობას, შემოქმედებითს ექსპერიმენტებს“. ხოლო ზუგდიდში მიმდინარე წელს გამართულ ღია წერილს დღეზე ერთხელ კიდევ ითქვა, რომ რესპუბლიკაში მიმდინარე ოცდახუთშაბადე ეკონომიკური ექსპერიმენტი ძალზე ცოტაა და უნდა ვეძიოთ მისი გავრცელების გზები ვაჭრობის, მეცნიერების, ტექნიკისა და სფეროში მეურნეობის სხვა სფეროში.

ჩვენ საპირად მიგვაჩნია განხორციელდეს ექსპერიმენტი, რომელიც დაიჭერის მეცნიერებაში მატერიალური წახალისების პრინციპის დანერგვას, უფრო მიზანმიმართულ გახდის მეცნიერთა საქმიანობას. ამ მხრივ ძალზე საინტერესოდ გვეჩვენება მეცნიერებაში, მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში არსებული უგანრიგო ბრიგადების მსგავსი ფორმის დანერგვა. უბიერველესად საკითხი ეხება მატერიალურ წახალისებას. მაგრამ არის საკითხის მეორე მხარე, რომელიც ითვალისწინებს მეცნიერთა არა მარტო მატერიალურ, არამედ წახალისების სხვა ფორმებსაც. კერძოდ, რატომ არ შეიძლება მიენიჭოს მეცნიერების დამსახურებული მოდგაწეს წოდება ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკს, რომლის ფუნდამენტურ გამოკვლევას უდიდესი თეორიული მნიშვნელობა აქვს, ან დანერგვის შედეგად მიღებულია დიდი ეკონომიური ეფექტი. ხომ ეძლევათ დამსახურებულს ტიტულები ხელოვნებაში და სპორტში მოღვაწე ახალგაზრდებს? შეიძლება გამოვიყენოთ უფრო გაბედული წახალისების სხვა ფორმებიც (საღლომითი და სახელმწიფო პრემიები, სახელმწიფო ჯილდოები და სხვ.) წარმოებასთან მეცნიერების ინტეგრაციის დაჩქარების ასეთი და სხვა პოზიტიური ფორმების გამოძახა ხელს შეუწყობს სამეცნიერო ძალების თავმოყრას პრობლემატული, პრიორიტეტული მიმართულებით და მკვეთრად ამაღლებს კვლევის ეფექტიანობას. საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის VI პლენუმმა ხომ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ წარმოებასთან მეცნიერების ინტეგრაციისა რესპუბლიკის ეკონომიკის აღმავლობის მაგისტრალური გზაა.

ო. პეტრიაშვილი,
ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი.

სასურსათო პროგრამა: რეალიზაციის გზები

სამინისტროს აბრარული საამქრო

ზოგიერთ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობასაც კი გაუწევს მეტიმეტობას საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დამმბარე მეურნეობა. აქ საექსპლოატაციოდ გადასცეს კიდევ ერთი ახალშენენელობა — მეფრინველეობის ფერმის ექვსი ათასი ბროილერინასთვის გათვალისწინებული პირველი რიგი. საწარმოს მეორე რიგის წლის დამლეგისესთვის ამჟამედის შემდეგ მისი სიმძლავრე წელიწადში ოცი ათას ბროილერამდე გაიზრდება.

შვიდი წლის წინათ გარდაბნის რაიონში მდინარე ლოჭინის შესართავთან მხლოდ ჩარგები და სარეველა „ბზრებოდა“, ამჟამად აქ 60 ჰექტარზე მეტ ფართობზე გადაშლილია დამმბარე მეურნეობის სავარგულები. აქ გააშენეს ხეხილის ბაღები, ვენახები, ტბორში ამრავლებენ კობრსა და სქელშუბლას. აქვთ თავანთი სკეიდე. 500 სული პირტუკუისათვის გათვალისწინებულია მეღორეობის ფერმაშ შარშან აფარმავა ოც ტონაზე მეტი ხორცი. ეს · საკმარისი იყო იმისათვის, რომ არა მარტო უზრუნველეყოთ სამინისტროს თანამშრომლები — დაიაწლოებით 700 კაცი, ორამედ ზედმეტი ხორცი სახელმწიფოსათვისაც მიეყიდათ.

შარშან, ღორის ხორცის გარდა, მიიღეს ოც ცენტნერზე მეტი ფრინველის ხორცი, დაახლოებით რვაასი კილოგრამი თევზი, სამასი კილოგრამი თაფლი, პროდუქტებს ყოველკვირა იღებს სამინისტროსთან გახსნილი სპეციალური მაღაზია.

— სასურსათო პროგრამაში,— უთხრა საკრნფორნის კორესპონდენტს რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრმა **დ. დავლაშვილმა,** — ნათქვამია, რომ უფრო სრულად უნდა გამოვიყენოთ საწარმოების, ორგანიზაციებისა და ენტუზიასტების დამხმარე მეურნეობათა შესაძლებლობანი. ამ მოთხოვნათა გათვალისწინებით აგებენ თავიანთ მეშაობას ჩვენი „აგრარული საამქროს“ მშრომელები.

განზრახული გვაქვს კვლავაც ვზრდოთ ფერმების, ბოსტნეულისა და სათბურების პროდუქციის დამზადება, გავაუმჯობესოთ წარმოების ტექნოლოგია. კერძოდ, გადაწყვეტილი გვაქვს შექმნათ ფრინველის ხორცის წარმოების შეუფერხებელი ციკლი.

ვეძიოთ კონტაქტები მეცნიერებთან

- მართვის, დაგეგმვისა და სტიმულირების საკითხები.
- რეგიონტაქვნის და მისი განვითარების პერსპექტივები.
- ადგილი და ექსპერიმენტი.

ბელის პრემიის ლაურეატმა, აკადემიკოსმა ლ. ვ. კანტოროვიჩმა ქ. ვილნიუსში 1984 წელს გამართულ საკავშირო სიმპოზიუმზე, რომელიც მათემატიკური ეკონომიკის თანამედროვე პრობლემებს მიეძღვნა, განაცხადა, რომ ამ სფეროში ფუნდამენტური კვლევის შედეგებსა და მათ პრაქტიკულ გამოყენებას შორის უზარმაზარი უფსკრულია და საბოლოო ყოველნაირად ვუწყობდეთ ხელს მათ შერწყმას.

სამწუხაროდ, მეცნიერებათან კავშირის, მათი რეკომენდაციების დანერგვას ბევრი საწარმო ვერ დაიკვეხნის. ბევრგან არ ეძებენ ან საერთოდ გაურბიან კონტაქტებს მეცნიერებთან და შედეგებიც სავალალო აქვთ. წარმოების განვითარების პერსპექტივ ვეგეგმის არ უდგებენ საფუძვლად მეცნიერულად გაბუნებულ დოკუმენტებს, არ ეყრდნობიან უახლეს მიღწევებს. ამასთან დაკავშირებით შეიძლება მოვიყვანოთ ერთი კონკრეტული მაგალითი. რესპუბლიკის მთელ რიგ სამრეწველო სამინისტროებს, პრაქტიკული გამოყენების მიზნით, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ დაუგზავნა ჩვენს მიერ დამუშავებული მეთოდიკა და რეკომენდაციები მოგვის გეგმის შესრულების პროგნოზირებისა და მისი მართვის გაუმჯობესების შესახებ. მან შეიძლება „მრჩეველის“ ფუნქციები შეასრულოს საფინანსო დარგის მუშაკებისთვის.

ამ მეთოდიკური მითითებებს პრაქტიკული გამოყენების შედეგების შესახებ დღემდე არავითარი ინფორმაცია არა გვაქვს, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ეს სამინისტროები მეცნიერული სიახლის პრაქტიკაში დანერგვით არ დაინტერესებულან. არადა, 1984 წლის სექტემბერში გამართულმა რესპუბლიკურმა პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებამ დიდი ყურადღება მიაქცია მოგების მართვის სისტემის სრულყოფის საკითხს.

მეცნიერების მიღწევების წარმოებაში დანერგვის მოთხოვნა ფრთი წილს, რომელიც აღემატება საშუალო საკავშირო მაჩვენებელს.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის VI პლენუმმა რესპუბლიკის მეცნიერული პოტენციალის შემდგომი განმტკიცების ამოცანა დაგვისახა. ამასთან, ყურადღება დაეთმო მეცნიერებაში ახალგაზრდა ძალების ნაკადის გაძლიერების, მათი აღზრდისა და წრთობის საქმის გაუმჯობესების, მორალური და მატერიალური წახალისების პრინციპების დანერგვის, მეცნიერთა საქმის მეტი მოზიზმართულებისა და კოორდინაციის საკითხების.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმმა ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ აღნიშნა ეკონომიკური ექსპერიმენტების მეცნიერული დასაბუთებისა და საბოლოო ეკონომიკური შედეგების პროგნოზირების აუცილებლობა.

ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდები და პროგნოზირების მეცნიერული კვლევის შედეგები მიმართულია წარმოების ეფექტიანობის რეზერვების გამოსაცალენად. და სანამ ისინი ემსახურებიან, მაგალითად, საწარმოში ან დარგში დამტკიცებულ გეგმის წარმატებით შესრულებას, მათ იწონებენ და მხარს უჭერენ. მაგრამ როგორც კი საქმე ეხება გეგმების შედგენას ან უკვე შედგენილ გეგმებში კორექტივების შეტანას, მდგომარეობა მკვეთრად იცვლება. უფრო ობიექტური, მაშასადამე, უფრო დაძაბული გეგმა ძნელი შესასრულებელია და საწარმოებს, ორგანიზაციებს ხელმძღვანელებს ეს ხელს არ აძლევთ. ამიტომ არის შემთხვევები, როდესაც საწარმოების და დარგობრივი სამინისტროების ხელმძღვანელები, იღებენ რა მეცნიერების წინადადებებსა და რეკომენდაციებს, რომლებიც გვპირდებიან მაღალ ეკონომიკურ ეფექტს, პრაქტიკულად აღარ ანხორციელებენ მათ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მეცნიერ-

მიმდინარეობს ექსპერიმენტი

ბელის პრემიის ლაურეატმა, აკადემიკოსმა ლ. ვ. კანტოროვიჩმა ქ. ვილნიუსში 1984 წელს გამართულ საკავშირო სიმპოზიუმზე, რომელიც მათემატიკური ეკონომიკის თანამედროვე პრობლემებს მიეძღვნა, განაცხადა, რომ ამ სფეროში ფუნდამენტური კვლევის შედეგებსა და მათ პრაქტიკულ გამოყენებას შორის უზარმაზარი უფსკრულია და საბოლოო ყოველნაირად ვუწყობდეთ ხელს მათ შერწყმას.

ამ ეფექტიანობის ამაღლებისა და წარმოებასთან მეცნიერების ინტეგრაციის პრობლემურ საკითხებს უდიდესი ყურადღება მიაქცია საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის VI პლენუმმა. ეს საკითხი პრობლემატური დღესაც არა მარტო ჩვენი რესპუბლიკის, არამედ კავშირის მასშტაბითაც. ნო-

ROცა გულს...

საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემას ხელიდან მეშვიდედ მიეწინა სსრ კავშირის პროფტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტისა და სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა. 1984 წლის სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის. ამ ფერადან წითელი დროშა. სამუდამოდ დარჩება საქართველოში.

რესპუბლიკის პროფტექნიკური განათლების სისტემა — ეს არის 170 სასწავლებელი, რომლებიც ყოველწლიურად 330 სპეციალობის 40 ათასზე მეტ კვალიფიციურ მუშას ამზადებენ. ამასთან პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების ყოველ მეხუთე კურსდამთავრებულს მაღალი საწარმოო თანრიგი აქვს. ეს არის 13 ათასზე მეტი ინჟინერ-პედაგოგიური მუშაკი. ეს არის მომავალი მუშების მიერ სასწავლო-საწარმოო სახელოსნოებსა და საწარმოებში შარტო შარშან დამზადებული 23 მილიონ მანეთისაზე მეტი სამრეწველო პროდუქცია.

30 მარტს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტგანათლების რეპუბლიკური სახლი გიმართავს საქართველოს სსრ პოლიტექნიკური განათლების სისტემის მუშაკთა პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება, რომელიც განხილავს 1984 წლის შედეგებს, სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულების მიმდინარეობა და პარტიის XXVII ყრილობის დირსეული შეხვედრის ამოცანები.

კრების პრეზიდიუმში არიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ნ. ა. პეტროვიჩევი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრები გ. დ. გაბუნია, გ. ნ. ენუქიძე, დ. ლ. ქორთველიშვილი, ო. ე. ჩერქეზია, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და სასწავლებლთა განყოფილების გამგე ა. პ. საყვალოლაძე, ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული მუშაკები, მინისტრები, სამაზო უწყებებისა და საწარმოების ხელმძღვანელები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი, წარჩინებული მუშები, სოფლის მეურნეობის მშრომელები — რესპუბლიკის პროფტექნიკური სასწავლებლების კურსდამთავრებულები, მასწავლებლები და სწავრმოო სწავლების ოსტატები, მოსწავლეები.

ბევრ ადგილებში ბოლოდ ბოლოს მოსწავლეებს, პედაგოგებს, საქართველოს პროფტექნიკური განათლების სისტემის ყველა მუშაკს დიდი წარმატება და ხაზგასმით აღინიშნა, რომ საქართველოს პროფტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტს გარდამავალი წითელი დროშა ენიჭება მისი დაარსების პირველი წლიდანვე. ეს მოწმობს, რომ რესპუბლიკის პროფტექნიკური სკოლა ერთ-ერთი საუკეთესოა ჩვენს ქვეყანაში.

ამხ. პეტროვიჩევი დაწვრილებით შეეხო სკოლის რეფორმის შემდგომი განხორციელების დარგში პროფტექნიკური განათლების სისტემის ამოცანებს. რესპუბლიკის ინჟინერ-პედაგოგიერმა კოლექტივებმა მთელი მეცადინეობა უნდა მოახმარონ იმის, რომ მოსწავლეებს მისცენ საფუძველისანი და მტკიცე ცოდნა. გამოუმშაონ მათ თანამედროვე ეკონომიკური აზროვნება, ისწავლონ მაღალი პროფესიული ოსტატობა, შრომისადმი შემოქმედებითი დამოკიდებულება.

დამსწრეთა ტაშის გრიალში ამხ. პეტროვიჩევმა გარდამავალი წითელი დროშა გადასცა რესპუბლიკის პროფტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის კოლეგტივს. მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ ს. ტორგავამ, მან დიდი მადლობა გადახადა საქართველოს პროფესიულ-ტექნიკური სკოლის საქმიანობის მაღალი შეფასებისათვის და განაცხადა, რომ მასწავლებლები, საწარმოო სწავლების ოსტატები, მოსწავლეები, სისტემის ყველა მუშაკი ამ ჯილდოს უპასუხებენ ახალი წარმატებებით შრომასა და სწავლაში, ავლოვაც სრულყოფენ მაღალი კვალიფიკაციის მუშათა — კომუნიზმის აქტიურ მშენებლთა, გმირი მუშათა კლასის რეგოლუციური, მხედრული და შრომითი ტრადიციების ღირსეულ განმგრძობთა აღზრდასა და სწავლებას.

კრებაზე გამოცხადეს, რომ რესპუბლიკის პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის სისტემის საუკეთესო მუშაკები დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სამადლო სიგელებით, ავრეთვე სამადლო ნიშნით „დამსახურებისათვის პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის განვითარებაში“, სსრ კავშირის პროფტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის სიგელებითა და ფიქრებით.

აქტივის კრებამ დაამტკიცა საქართველოს პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლთა კოლექტივების დამატებითი ვალდებულებანი სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის დირსეული შეხვედრისათვის. (საქინფორმი).

დროშა სამუდამოდ დარჩებათ

საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის ხელიდან მეშვიდედ მიეწინა სსრ კავშირის პროფტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტისა და სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა. 1984 წლის სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის. ამ ფერადან წითელი დროშა. სამუდამოდ დარჩება საქართველოში.

რესპუბლიკის პროფტექნიკური განათლების სისტემა — ეს არის 170 სასწავლებელი, რომლებიც ყოველწლიურად 330 სპეციალობის 40 ათასზე მეტ კვალიფიციურ მუშას ამზადებენ. ამასთან პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების ყოველ მეხუთე კურსდამთავრებულს მაღალი საწარმოო თანრიგი აქვს. ეს არის 13 ათასზე მეტი ინჟინერ-პედაგოგიური მუშაკი. ეს არის მომავალი მუშების მიერ სასწავლო-საწარმოო სახელოსნოებსა და საწარმოებში შარტო შარშან დამზადებული 23 მილიონ მანეთისაზე მეტი სამრეწველო პროდუქცია.

30 მარტს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტგანათლების რეპუბლიკური სახლი გიმართავს საქართველოს სსრ პოლიტექნიკური განათლების სისტემის მუშაკთა პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება, რომელიც განხილავს 1984 წლის შედეგებს, სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულების მიმდინარეობა და პარტიის XXVII ყრილობის დირსეული შეხვედრის ამოცანები.

ბევრ ადგილებში ბოლოდ ბოლოს მოსწავლეებს, პედაგოგებს, საქართველოს პროფტექნიკური განათლების სისტემის ყველა მუშაკს დიდი წარმატება და ხაზგასმით აღინიშნა, რომ საქართველოს პროფტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტს გარდამავალი წითელი დროშა ენიჭება მისი დაარსების პირველი წლიდანვე. ეს მოწმობს, რომ რესპუბლიკის პროფტექნიკური სკოლა ერთ-ერთი საუკეთესოა ჩვენს ქვეყანაში.

ამხ. პეტროვიჩევი დაწვრილებით შეეხო სკოლის რეფორმის შემდგომი განხორციელების დარგში პროფტექნიკური განათლების სისტემის ამოცანებს. რესპუბლიკის ინჟინერ-პედაგოგიერმა კოლექტივებმა მთელი მეცადინეობა უნდა მოახმარონ იმის, რომ მოსწავლეებს მისცენ საფუძველისანი და მტკიცე ცოდნა. გამოუმშაონ მათ თანამედროვე ეკონომიკური აზროვნება, ისწავლონ მაღალი პროფესიული ოსტატობა, შრომისადმი შემოქმედებითი დამოკიდებულება.

დამსწრეთა ტაშის გრიალში ამხ. პეტროვიჩევმა გარდამავალი წითელი დროშა გადასცა რესპუბლიკის პროფტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის კოლეგტივს. მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ ს. ტორგავამ, მან დიდი მადლობა გადახადა საქართველოს პროფესიულ-ტექნიკური სკოლის საქმიანობის მაღალი შეფასებისათვის და განაცხადა, რომ მასწავლებლები, საწარმოო სწავლების ოსტატები, მოსწავლეები, სისტემის ყველა მუშაკი ამ ჯილდოს უპასუხებენ ახალი წარმატებებით შრომასა და სწავლაში, ავლოვაც სრულყოფენ მაღალი კვალიფიკაციის მუშათა — კომუნიზმის აქტიურ მშენებლთა, გმირი მუშათა კლასის რეგოლუციური, მხედრული და შრომითი ტრადიციების ღირსეულ განმგრძობთა აღზრდასა და სწავლებას.

კრებაზე გამოცხადეს, რომ რესპუბლიკის პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის სისტემის საუკეთესო მუშაკები დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სამადლო სიგელებით, ავრეთვე სამადლო ნიშნით „დამსახურებისათვის პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის განვითარებაში“, სსრ კავშირის პროფტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის სიგელებითა და ფიქრებით.

აქტივის კრებამ დაამტკიცა საქართველოს პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლთა კოლექტივების დამატებითი ვალდებულებანი სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის დირსეული შეხვედრისათვის. (საქინფორმი).

რაიონის (ქალაქის) ეკონომიკა: რა დონეზეა იგი?

ზესტაფონური ფერისცვალება

ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის ის მრავალრიცხოვანი მილები, შორიდან რომ ზღვაში მიმავალ გემთა ქარავანს მოგვაგონებს, „დამოშმინდნენ". აღარ შფოთავენ და აღარ აფრქვევენ ატმოსფეროში ასობით ტონა მტვერს და ჭვარტლს, აღარ აბინძურებენ ქალაქს და მის მიდამოს. ამოისუნთქეს ზესტაფონის მახლობლად სოფლების ველ-მინდვრებმა, ბაღ-ვენახებმა.

მტვრის მარწუხებიდან ზესტაფონის რაიონის განთავისუფლებაზე ლაპარაკი შემთხვევით როდი დავიწყე. ჩემი ჟურნალისტური ცხოვრების არცთუ ცოტა ხნის მანძილზე ძალიან ხშირად მიხდებოდა ამ რაიონში მივლინებით ჩამოსვლა, და ყოველთვის, სადაც არ უნდა მივსულიყავი, იქნებოდა ეს პარტიის რაიკომი თუ თვით ქარხანა, საუბარი გარემოს სიწმინდესთან დაკავშირებული პრობლემებით იწყებოდა. ეს ყველას აწუხებდა, ამას ყველა განიცდიდა. ბოლო ხანს ზესტაფონის „ფერისცვალებაზე" ბევრი დაიწერა და ითქვა, მაგრამ ეს თემა მაინც არ მოძველებულა. იგი ჯერ საკმაოდ საღი „პროდუქტია" და სრულიად ვარგისია ჟურნალისტური სამზარეულოსათვის.

ეგეც არ იყოს, ზესტაფონზე საუბარი ხომ, ტრადიციულად, ფეროშენადნობთა ქარხნით იწყება. ზესტაფონი ძველი ქალაქია, მაგრამ ინდუსტრიული ზესტაფონი ფერომ შვა. მისმა განახლებულმა და უკანასკნელ წლებში აგებულმა დიდმწარმოებლურმა ღუმელებმა არნახულად გაზარდეს ქარხნის შესაძლებლობა. აქ დამზადებული განსაკუთრებული სიმტკიცის ფოლადების წარმოებისათვის გამიზნული შენადნობები ჩვენი ქვეყნისა და საზღვარგარეთის მრავალ მეტალურგიულ გიგანტებს კვებავენ. „ფერო" როგორც ზესტაფონის, ისე რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის სიამაყეა, იგი ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის ერთ-ერთი საზომია. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მთავრობის შეუნელებელი ზრუნვისა და დახმარების შედეგად, გენერალურად რეკონსტრუირებული ქარხანა აღმავლობის გზაზეა. იქმნება იმის შესაძლებლობა რომ საწარმო მალე სამაგალითო და საჩვენებელიც გახდეს დარგში.

არავის ეგონოს, თითქოს ფეროშენადნობთა ქარხნის წინსვლის გზა ია-ვარდით ყოფილიყოს მოფენილი. არა, გადასალახია ტექნიკური და ორგანიზაციული ხასიათის დაბრკოლებანი, გადასაწყვეტია ღუმელების ელექტროენერგიით შეუფერხებელი უზრუნველყოფის საკითხი, დაწყებულია ქარხნის რეკონსტრუქციისა და ტექნიკური განახლების მეორე ეტაპი. უნდა აშენდეს და საექსპლოატაციოდ გადაეცეს მრავალი ახალი ობიექტი და მათ შორის უნიკალურიც, კაპიტალურად შეკეთდეს საამქროები, რომელთა მიერ გამოშვებული პროდუქციის წილი წარმოების საერთო მოცულობაში ძალზე საგრძნობია, და ეს, ცხადია, ცოტა სირთულეებს არ წარმოშობს.

ამიტომ, ზემოხსენებული ფაქტები პარტიის რაიკომისა და ქარხნის ხელმძღვანელთა ყურადღების ცენტრშია. შემუშავებულია კონკრეტული ღონისძიებანი, რომელთა განხორციელებითაც ამოქმედდება გამოუყენებელი რეზერვები და ისინი უზრუნველყოფენ დამატებითი პროდუქციის გამოშვებას, წლის პირველი ნახევრისა და მთლიანად მეთერთმეტე ხუთწლედის გეგმების უთუო შესრულებას. ვიმეორებ: ეს არ იქნება ადვილი, მაგრამ ქარხნის კოლექტივს სიძნელეებთან ჭიდილის დიდი გამოცდილება აქვს. ამას მოწმობს, თუნდაც, მიმდინარე წლის ორი თვის შედეგები. მიუხედავად უამინდობასთან და ელექტროენერგიით მომარაგებასთან დაკავშირებული მძიმე მდგომარეობისა, პროდუქციის გამოშვების და მისი რეალიზაციის გეგმები გადაჭარბებითაც კი შესრულდა. თქვენ წარმოიდგინეთ, ამ პერიოდში დაგეგმილი ზარალი 238 ათასი მანეთით შემცირდა. საერთოდ, ჯერჯერობით, ქარხნის ერთ-ერთ ვიწრო ადგილად რენტაბელობა რჩება.

ფეროშენადნობთა ქარხნის განვითარებისათვის რომ კაპიტალდაბანდება იზრდება, კარგია, მაგრამ ამ სახსრებს დროული ათვისება სჭირდება. უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში ვერ სრულდება საწარმოს ობიექტების ამოქმედების გეგმები და ეს, ალბათ, ასე გაგრძელდება, ვიდრე არ მივხედავთ ზესტაფონის სამშენებლო ორგანიზაციებს, არ განვმტკიცებთ მათ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას.

დახმარება სჭირდება ფეროშენადნობთა ქარხანას ინჟინრებითა და ტექნიკოსებით დაკომპლექტების მხრივაც. სპეციალისტთა ნაკლებობა აქ ახლაც საგრძნობია და რა იქნება მაშინ, როცა ამჟამად მომუშავენი დატოვებენ საწარმოს? საქმე ის არის, რომ სპეციალისტთა საშუალო ასაკი მიუახლოვდა საპენსიოს, ცვლა კი არ ჩანს. არადა, ზესტაფონი, მისი მზარდი ფეროშენადნობთა ქარხანა მთლიანად იმსახურებს იმას, რომ ადგილზე ჩაეყაროს საფუძველი მუშათა დაუსწრებელ ან საღამოს პოლიტექნიკურ სწავლებას.

მეთერთმეტე ხუთწლედის განვლილი პერიოდი აღმავლობის ხანაა არა მარტო ფეროშენადნობთა ქარხნისათვის, არამედ რაიონის დანარჩენი საწარმოებისთვისაც, რაიონის ეკონომიკის სხვა დარგისთვისაც. რა არის დამახასიათებელი ბოლო ხანს რაიონის სახალხო მეურნეობისათვის? ის, რომ 1980 წლიდან არც ერთი საწარმო არ ჩამორჩენილა. ხუთწლედის ოთხ წელიწადში აქ 41,5 მილიონი მანეთის პროდუქცია გამოუშვეს და ეს თითქმის ორჯერ აღემატება სოციალისტური ვალდებულებით ნავარაუდევს.

ამ წერილის დაწყებისას მტკიცედ გადავწყვიტე მოვრიდებოდი სტატისტიკას, მაგრამ ცდუნებას თავი მაინც ვერ დავაღწიე. როგორ არა ვთქვა, რომ შარშან, მეათე ხუთწლედის დამამთავრებელ წელთან შედარებით, პროდუქციის მატებამ 25 პროცენტი შეადგინა, რომ წარმოების მოცულობა ყოველწლიურად საშუალოდ 6,2 პროცენტით მატულობს, რომ საპატიო ხუთკუთხედით აღნიშნული პროდუქციის ხვედრითმა წილმა წარმოების მთლიან მოცულობაში ოცდაათ პროცენტს გადააჭარბა. განსაკუთრებით წარმატებული იყო გასული წელი, რითაც განმტკიცდა საფუძველი მიმდინარე წლის ამოცანების გადასაწყვეტად. ასე რომ არა, იანვარ-თებერვლის მძიმე პერიოდის გეგმები ზესტაფონის ეკონომიკას, კერძოდ, მის მრეწველობას შეიძლება ვერ დაეძლია. მიღწევებს აქაური საავტომობილო ტრანსპორტის გაერთიანების გამართულმა მუშაობამაც შეუწყო ხელი. ეს გაერთიანება, სხვათა შორის, საქართველოს რესპუბლიკაში ხაზშორის სატვირთო ავტოსატრანსპორტო გაერთიანებასთან ერთად და შარშანდელი შედეგებით დაიმსახურა კიდეც სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

რაიონის მრეწველობის წინსვლაში ფასდაუდებელია საკავშირო დაქვემდებარების საწარმოების „საქკაბელისა" და „ელექტროელემენტის" ქარხნების კოლექტივთა წვლილი. ახალი ხელმძღვანელების უნარიანი მოქმედებით, საქმისადმი პასუხისმგებლობის გაძლიერებით, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებით მეათე ხუთწლედში ჩამორჩენილი ეს ორი დიდი საწარმო მოწინავეთა რიგებში ჩადგა.

მეთერთმეტე ხუთწლედის ოთხი წლის გეგმა რაიონის მშენებლებმა გადაჭარბებით შეასრულეს. მეათე ხუთწლედთან შედარებით 48 პროცენტით გაზარდეს წარმოების მოცულობა. საექსპლოატაციოდ გადაეცა 50 მილიონი მანეთის ღირებულების ძირითადი ფონდები, 70450 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, რაც 1,4-ჯერ აღემატება წინა ხუთწლედის მაჩვენებელს.

წარმატებით სრულდება სკოლებისა და სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებების, კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტების საექსპლოატაციოდ გადაცემის გეგმებიც, სულ უფრო „იძერწება", მშვენდება, ახალ სამოსში ეხვევა ქალაქი ზესტაფონი, მისი ქუჩების არქიტექტურულ ანსამბლებში ახალი სახელმწიფო დაწესებულებებისა და საცხოვრებელი სახლების კორპუსები ილანდება. უმჯობესდება მოსახლეობის სავაჭრო მომსახურება. მწყობრში ჩადგა, მაგალითად, 400 ტონა ტევადობის მაცივარი, რამაც მთლიანად უზრუნველყო ქალაქი, საზოგადოებრივი კვების ობიექტები ბოსტნეულითა და ხილით. ფეროშენადნობთა ქარხნის კვალითის მუშათა დასახლებაში ადრე მხოლოდ ერთი სავაჭრო წერტი იყო, დღეს კი აქ მშრომელებს 9 მაღაზია ემსახურება, მიმდინარეობს სავაჭრო ცენტრის მშენებლობა. ზესტაფონის რაიონში 1983 წლიდან საქონელბრუნვის სახელმწიფო დავალებები მნიშვნელოვანი გადაჭარბებით სრულდება და ეს მისასალმებელია.

ამ ეკონომიკურ მიმოხილვაში განგებ არ მინდა შევეხო რაიონის სოფლის მეურნეობას. იმიტომ კი არა, თითქოს მრეწველობის მიღწევების ფონზე არახელსაყრელად გამოიყურებოდეს და აფუჭებდეს კარგ საერთო შთაბეჭდილებას. პირიქით, სოფლის მშრომელთა მიღწევა იმდენად საგულისხმოა, რომ ცალკე და ვრცლად უნდა ვილაპარაკოთ. თუმცა, მკითხველს რომ ცოტა წარმოდგენა მაინც ჰქონდეს ამ დარგით, გაცნობებთ, რომ ოთხი წლის განმავლობაში მხოლოდ გადაჭარბებით სრულდება ძირითადი პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გეგმები.

როგორც ხედავთ, ზესტაფონის რაიონის ეკონომიკა სწორ გზას ადგას. ეს, უპირველესად, რაიონის პარტიული ორგანიზაციის ყოველდღიური, დაუღალავი პოლიტიკურ-ორგანიზატორული მუშაობის შედეგია. პარტიის რაიონული კომიტეტი კომპლექსურად უდგება ეკონომიკური და სოციალური საკითხების გადაწყვეტას, მართავს ძირითად ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებს. ყველაფერს ღონობს თავისი ფუნქციების შესასრულებლად და მინიჭებული დიდი უფლებების გამოყენებისათვის სახალხო დეპუტატთა საბჭოს რაიაღმასკომი. დაქვემდებარებული ორგანიზაციების პასუხისმგებლობის გაძლიერებით, დეპუტატთა მოღვაწეობის გააქტიურებით მნიშვნელოვნად უკეთესად წყდება მრავალი ცხოვრებისეული პრობლემა.

რთული და საპატიო ამოცანები უნდა გადაწყვიტონ წლეულს რაიონის სახალხო მეურნეობის მშრომელებმა. ხუთწლიანი გეგმის უთუო შესრულებისათვის მრეწველობამ დამატებით 15 მილიონი მანეთის პროდუქცია უნდა გამოუშვას, გაზარდოს სახელმწიფო ხარისხისნიშნიანი ნაწარმის ხვედრითი წილი. საწარმოებმა უკეთ უნდა გამოიყენონ სიმძლავრეები და გაადიდონ ფონდუკუგება, გააუმჯობესონ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა შესრულების ხარისხი და სხვა. ამ საკითხთა გადაწყვეტას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს დიადი გამარჯვების 40 წლისთავის, სტახანოვური მოძრაობის 50 წლისთავის, სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება.

შ. ამაშუკელი.
ზესტაფონი-თბილისი.

წითელდროშოვანი ჭიკაანში

ყვარლის რაიონის სოფელ ჭიკაანის კ. მარქსის სახელობის კოლმეურნეობის მექანიზატორებმა საგაზაფხულო თესვა საკვები ჭარხლით დაიწყეს, რომელიც აქ 20 ჰექტარს დაიკავებს. და ეს შემთხვევითი არ არის: საკვებისათვის ზრუნვა იმ მეურნეობის მიწათმოქმედთა უპირველესი ამოცანაა, რომელიც საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში წარმატებებისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით დაჯილდოვდა.

რვაას სულ მსხვილფეხა რქიან პირუტყვს, მათ შორის 215 ძროხას უვლიან კოლმეურნეობის ფერმაში. მეცხოველეებმა წარმატებით გამოაზამთრეს პირუტყვი იმის წყალობით, რომ დამზადებული ჰქონდათ 800 ტონა სენაჟი, 1700 ტონა სილოსი, დიდძალი თივა და სხვა უხეში საკვები.

სურათზე: ჭიკაანში ფართო ფრონტით მიმდინარეობს საკვები ჭარხლის თესვა.

მ. დათიკაშვილისა და ი. დავითაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

...საქმე ეხება თვით ადამიანის განვითარებასაც, მისი ცხოვრებისა და შრომის მატერიალური პირობების, მისი სულიერი სახის თვისებრივ გაუმჯობესებას.

მ. ს. გორბაჩოვი.

მატანიც ნახეთ, ოჟიოც...

ანუ რას მოგვითხრობენ მეურნეობათა დირექტორები; რაიონის კარიბჭე, ომში დაღუპულთა მემორიალი თეატრონით და რაიკომის პირველი მდივნის ბოლოთქმა

მატნისა და ოჟიოს მეურნეობათა დირექტორები ოთარ დოინჯაშვილი და ნოდარ ოტიაშვილი შარშან, ზამთარში, ვენახებში რეიდის დროს გავიცანი. ვაზი ურიგოდ როდი ჰქონდათ მოვლილი. ამიტომ აქაური მეზვრეები მაინცდამაინც არ გაგვიკრიტიკებია. ანკი რატომ უნდა გაგვეკრიტიკებინა, როცა ზვრები მხოლოდ მცირე ფართობზე იყო დასამუშავებელი. მეორედ სავსე ზვრებში, ვაზის წამლობის დროს შევხვდი დირექტორებს. კარგად მოვლილი, უხვმტევნიანი ვაზები პატრონს ბარაქიან რთველს ჰპირდებოდა. ვარაუდი გამართლდა —მატნელებმა და ოჟიოელებმა მართლაც კარგად მოირთვლიანეს და მეურნეობები ეკონომიკურად ერთობ მოღონიერდნენ.

ერთი წლის შემდეგ, ამ დღეებში კვლავ ჩავედი მატანსა და ოჟიოში. ვენახები ახლა უკეთესად არის მოვლილი და ნაპატრონები.

— ძალზე კარგად გამოიზამთრა ვაზმა, — მეუბნება, ოთარ დოინჯაშვილი და კვირტებდაბერილ ვაზებზე მიმითითებს, — არც ერთი კვირტი არ გამცდარა... თებერვალში ყინვამ იძალა და მეშინოდა — გასხლული ვაზები არ გაყინულიყო. ზვრების თარგებში ავტომობილის გაცვეთილი საბურავები, გამოუსადეგარი ნამჯა და სხვა დასაბოლებელი მასალა დავაწყვეთ, მაგრამ ბუნების ძალით აღარ დაგვჭირდა. ისეთი ზვრები გვაქვს, ისეთი მოვლილია, ავ თვალს არ ენახვება!..

დირექტორს ხმელ, შავგვრემან სახეზე თვალები ისე გაუფართოვდა და გაუბრწყინდა, გეგონებოდათ სადაცა გადმოსცვივაო. ასეა, ალალი გულის კაცს ყველაფერი სახეზე დაეწერება ხოლმე.

— წლევანდელ შემოდგომაზე, რთველში გამოჩნდება... შარშან მაინც, რამდენი ტონა ყურძენი მიჰყიდეთ სახელმწიფოს?

— გეგმა დიდი გადამეტებით შევასრულეთ..: თითქმის ათასი ტონით მეტი ყურძენი მივყიდეთ სახელმწიფოს.

— მეცხოველეობა, მემინდვრეობა?

მატნელებს არც სხვა რამეში შეურცხვენიათ თავი. 803 ათასი მანეთი მოგება ნახეს. მოგება ბევრ მეურნეობას აქვს, მაგრამ გააჩნია, რაში და როგორ გამოიყენებენ.

ბუნებრივია, როცა დუმილი ჩამოვარდება, ერთ-ერთი მოსაუბრე თავის კითხვაზე პასუხს მოელის და... დირექტორი მიხვდა, რომ მეც კითხვაზე პასუხს მოველოდი.

— მეცხოველეობაც მომგებიანია, მემინდვრეობაც. თქვენ ვიცი, რაც გაინტერესებთ— ამდენი მოგება სად მიგვაქვს, ხომ?

— რა თქმა უნდა.

— შარშან მატნელებმა მართლაც კარგად იმუშავეს. ყველა დარგი რენტაბელური იყო და ამაში, როგორც ვთქვით, მევენახეთა, მემინდვრეთა და მეცხოველეთა დიდი გარჯაა ჩაქსოვილი. ამიტომ, ვინც პატიოსნად, გულდაგულ იშრომა და ოფლი ღვარა, მისთვის ალალი იყოს ის პრემია, რომელიც მიიღო. პრემიის სახით კი არცთუ ისე მცირე თანხა გავეცით — 354 ათასი მანეთი. ზაფხულში ვაზის ფურჩვნის, ყლორტების წვერების წაწყვეტისა და წამლობის დროს სხვა სამუშაოები, რომ იტყვიან, თავზესაყრელი გვქონდა. არც ერთი საქმის გადადება არ შეიძლებოდა; არადა, ვენახს, მტევნებით უხვად დახუნძლულ ვაზს უჭირდა... თუ დროზე შევწამლავდით, მოვაცილებდით ზედმეტ, უნაყოფო ყლორტებს, წვერებს წავაწყვეტდით, მთლიანად შევინარჩუნებდით მოსავალს. წინააღმდეგ შემთხვევაში კი დიდძალ ყურძენს დავკარგავდით. ამიტომ გაბედულად, ოპერატიულად ვიმოქმედეთ. მთელ სოფელს ვაუწყეთ, რომ სამუშაოთა ყოველდღიურ ნორმას ვინც შეასრულებდა, ძირითადი ანაზღაურების დამატებით მიიღებდა მანეთს, ორი ნორმის შესრულებისათვის — ორ მანეთს.

— გასჭრა ამ ღონისძიებამ?

— რა თქმა უნდა. მატერიალურმა საზღაურმა ბევრი წაახალისა, მაგრამ მთავარი მაინც ვაზის სიყვარული იყო. მატნელებმა რომ ნახეს, ყურძნით დახუნძლულ ვაზებს უჭირდა, მართლაც ქუდზე კაცი გამოვიდა. არც ჩვენ დავრჩით ვალში...

— ვერ გვეტყვით, დამატებით ვინ რამდენი მიიღო ვაზის გადასარჩენად გაწეული შრომისათვის?

— რატომაც არა, — დირექტორმა ბუღალტერი მოიხმო, იმან დიდი სია მოიტანა. — ლიანა მექუდიშვილმა 360 მანეთი მიიღო, ანო ექვთიმიშვილმა — 388 მანეთი, ქეთევან შიომღვდლიშვილმა — 423 მანეთი, ნადია მამუჩაშვილმა — 260 მანეთი, მაყვალა ტერტერაშვილმა — 328 მანეთი, ნინო მთიულიშვილმა — 389 მანეთი... ჩამოსათვლელი ბევრია, ყველას ხომ ვერ ჩაიწერთ? ამას გარდა მეურნეობის მუშებს ყველას აქვთ სპეცტანსაცმელი. ამით მატნელები ყველასაგან გამოირჩევიან. მექანიზატორებს კი, რომლებიც შხამქიმიკატებს ასხურებენ, მუშაობის დროს უფასოდ ეძლევათ რძე და რძის პროდუქტები. მოწინავე ბრიგადები წლის ბოლოს უფასოდ გავგზავნეთ ტურისტული საგზურებით..

დაინტერესების სხვა ფორმაც გვეხმარება შრომაში. რაიონში დაწესებულია მოწინავე მევენახის, სოციალისტური შრომის გმირის გიორგი ხარიტონაშვილის პრიზი. ამ პრიზისათვის მატანში მართლაც გმირული შრომა იყო გაჩაღებული და მევენახეობის მეცხრე ბრიგადამ მოიპოვა. ბრიგადირი აბრამ ხოხობაშვილი ნამდვილად კმაყოფილია შარშანდელი შრომითა და შრომის საზღაურით. მისი ბრიგადის ყველა წევრი მეურნეობიდან მიღებული შემოსავლით კულტურულად და ხელგამართულად ცხოვრობს.

— ნუთუ ყველა მატნელი გამრჯეა? — შევეჭვდი. დირექტორს მწარედ გაეღიმა და გვერდით ფანჯრისაკენ გაიხედა.

— რა თქმა უნდა, იოლად ცხოვრების მოყვარულებიც გვყავდა... გვყავდა-მეთქი, იმიტომ ვამბობ, რომ ახლა მათი რიცხვი მინიმუმამდე შემცირდა. ბევრზე პირადმა ახსნა-განმარტებამ, გულთბილმა საუბარმა გასჭრა და დაუბრუნდა მეურნეობას, ზოგი მოწინავეც კი გახდა. მაგრამ ზოგზოგებზე ვერაფერმა ვერ იმოქმედა. ასეთებს მკაცრად მოვექეცით.

ალექსი ფიცქრიშვილი და იოსებ მარუქაშვილი მეურნეობის საქმეს არაფრად აგდებდნენ, საკარმიდამოთი იყვნენ გატაცებული, მეურნეობის წესდებით, სოფლის ყველა სიკეთით სარგებლობდნენ, ფიზიკურ შრომას კი არ კადრულობდნენ. ღორი მოამრავლეს და ქორვაჭრულ ფასებში ჰყიდდნენ ხორცს. ასღორიანი ფერმების პატრონებს სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვა არც გახსენებიათ. ავდექით და ეს გაფერმერებულები სამართალში მივეცით. გამსვლელი სასამართლო ჩვენთან, ხალხის თანდასწრებით გაიმართა. სასამართლომ თითოეულს ორი წლის იძულებითი მუშაობა მიუსაჯა; ღორები მათი სახელით სახელმწიფოს მიეყიდა. თქვენ გგონიათ, სხვაგან გავუშვით? არა. ახლა ისინი ჩვენს მეურნეობაში იხდიან სასჯელს — იძულებით სამუშაოს.

— მატნელები რას ამბობენ, მატნელები?

— როგორ ფიქრობთ, რას იტყოდნენ? არ ეგონათ, თუ მათ ვინმე მოარჯულებდა. როცა დაინახეს და ირწმუნეს კანონის ძალა, მშრომელ მატნელებს გულს მოეფონათ.

სამოცდაათი განდგომილი დაუბრუნდა მეურნეობას და ახლა მეზობლებთან ერთად მუშაობენ.

ახალგაზრდებს უფრო მეტად ვუჩვენოთ გული, უფრო უნდა შევაყვაროთ სოფელი, ვაზიაროთ იმ მიწა-წყლის სიკეთეს, სადაც დაიბადნენ და აღიზარდნენ. როგორ, რა გზითა და საშუალებით? ზოგიერთი ხელმძღვანელი მომავალზე არ ფიქრობს, დღეის დღით ცხოვრობს, გეგმების შესასრულებლად რაღას არ აკეთებს, მთავარი — ადამიანი, მით უმეტეს, ახალგაზრდა კაცი კი მხედველობიდან გამორჩება ხოლმე. პიროვნულად, ხასიათით ყველა ერთმანეთისაგან რომ განსხვავდება, ეს არც ახალია და არც ჩვენი მოგონილი. ძმებსაც კი არა აქვთ ერთნაირი ხასიათი; ბუნებით კარგი ხელმძღვანელი ის არის, ვინც ყოველი ხელქვეითის ხასიათსა და ბუნებას დღენიადაგ აკვირდება, სწავლობს და ამისდამიხედვით მოეპყრობა მუშასა თუ სპეციალისტს. რაც მთავარია, ხელშეწყობა, ზრუნვა არ უნდა მოაკლო ახალგაზრდას.

მატანში ახალგაზრდულ ბრიგადაში სამოცდახუთი საშუალო სკოლადამთავრებულია. ვინც უმაღლეს სასწავლებელში ჩაირიცხება, ხომ სტიპენდიას იღებს მეურნეობიდან, ვინც არა, ხალისით რჩება სოფელში და მუშაობს; ბევრი მუშაობს და თან უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელად ემზადება. ზოგიც დაოჯახდება ხოლმე. ახალგაზრდებს, რომლებიც ერთგულად შრომობენ და სახლის ცალკე აშენება უნდათ, მეურნეობა ნაკვეთს გამოუყოფს ხოლმე და მშენებლობაშიც ეხმარება.

ახალგაზრდობა ჩვენი იმედი და მომავალია, სოფლის სიცოცხლე და კეთილი კვალის გამგრძელებელია. ერთ სიახლეს წელს კიდევ შევთავაზებთ ჩვენს ახალგაზრდა ბიჭებს, — ამბობს დირექტორი. — ამ გაზაფხულიდან ჯარში წასულ ვაჟკაცებს, ორი წლის მანძილზე მიეცემათ ყოველთვიური საშუალო ანაზღაურება, რომელიც გამოიანგარიშება ჯარში წასვლამდე ნამუშევარის მიხედვით. არმიიდან დაბრუნებული ახალგაზრდა ორი წლის საშუალო ანაზღაურებას უკლებლივ მიიღებს, რაც ოჯახის შექმნასა და გაძლიერებაში გამოადგება.

— მატანი ნახეთ? ოჟიოც ვნახეთ, აქაც ბევრი სიახლეებია. განა ისევ ჩამორჩენილი მეურნეობაა? — მეუბნება პარტიის ახმეტის რაიკომთან არსებული საგაზაფხულო სამუშაოთა მიმდინარეობის შტაბის მუშა ჯგუფის ხელმძღვანელი, რაიკომის პარტიული კომისიის თავმჯდომარე რაჟდენ მექვევრიშვილი (ეს ჯგუფი ოპერატიულ მასალებს აგროვებს და შტაბის სხდომაზე გააქვს განსახილველად).

ვნახეთ ოჟიო. მართლაც თანამედროვე სიკეთით სავსე სოფელია. მეურნეობის დირექტორი ნოდარ ოტიაშვილი ახალგაზრდა კაცია. ადრე პარტიის რაიკომის აპარატის მუშაკი ყოფილა, თავი გამოუჩენია და დიდი მეურნეობის დირექტორად გაუმწესებიათ. ჩამორჩენილი, ვალებში ჩავარდნილი მეურნეობის აღმასვლა იოლი რომ არ იყო, ეს ახალმა დირექტორმაც იცოდა, შეუძლებლის გაკეთებასაც არავინ მოითხოვდა. ოჟიოში ისეთი კარგი მიწებია, ზედ მდინარე ალაზანი და ალაზნის არხი ჩამოუდის. საჭირო იყო გულიანი, საზრიანი და ენერგიული კაცი. აი, ასეთი გამოდგა ნოდარ ოტიაშვილი, რომელმაც სულ მალე ოჟიო კი არა, მთელი ახმეტის რაიონი აალაპარაკა თავისი კაიკაცობით.

ოჟიოელებს 630 ჰექტარი მოსავლიანი ვენახი აქვთ. შარშან რეიდის დროს მათი ზვრებიც ვნახეთ. მართალია კარგად მოვლილი ზვრები ჰქონდათ, მაგრამ ზოგან სიმეჩხრე მოსძალებოდა. ახალგაზრდა დირექტორს ეს არ ეჭაშნიკა და იმ გაზაფხულზევე დარაზმა მევენახეები სიმეჩხრის ნაწილობრივ შესავსებად. ვაზის მხრის გაგრძელებით და კარგი მოვლა-პატრონობით შარშანვე უხვი მოსავალი მოიწიეს, სახელმწიფოს 5.236 ტონა ყურძენი მიჰყიდეს. საგეგმოს 700 ტონა გადაამეტეს. ახლა თვითღირებულება! ცენტნერი ყურძენი 30 მანეთი დაუჯდათ და დიდძალი მოგება მიიღეს.

მეურნეობას მუშახელი უჭირს. დირექტორის უპირველესი საზრუნავი სწორედ მუშახელის მოზიდვა იყო და არის. იმის გასაგებად, თუ რა მომოქმედა ამ ახალგაზრდა კაცმა, უმჯობესია თვითონ მას მოვუსმინოთ.

ნ. ოტიაშვილი: მეურნეობის მშრომელთა და სოფლის ინტელიგენციის წარმომადგენელთა შვილებს საბავშვო ბაღსა და სკოლის გახანგრძლივებულ ჯგუფებში უფასოდ ვკვებავთ... ამაზე მეურნეობის სოციალურ-კულტურული ფონდიდან წელიწადში რვაათას მანეთს ვხარჯავთ. ახალგაზრდა დედებს, რომლებსაც 10-12 წლამდე ასაკის ბავშვები ჰყავთ და მეურნეობაში თვეში 18 დღეზე მეტს მუშაობენ, დღეში თითოეულ ბავშვზე თითო მანეთი დამატებით ეძლევათ. ამას მატერიალური წახალისების ფონდიდან ვაძლევთ. მარტო ამ ღონისძიების განხორციელებით ოცი ახალგაზრდა მუშა შემოგვემატა. შარშან მათ 8.500 მანეთი მიიღეს შრომის დამატებით საზღაურის სახით. სამაგიეროდ ამ ახალგაზრდა დედებმა მეურნეობაში სამი ამდენი საქმე გააკეთეს.

სოფლის სიკეთე რომ უფრო კარგად იგრძნონ ოჟიოელებმა, ამისათვის ბევრი სხვა სიახლეც გამოვიყენეთ. განა რა უნდა დაჰკლებოდა მეურნეობას, რომ ერთ წლამდე ასაკის ბავშვის პატრონს დღეში თითო ლიტრი რძე უფასოდ მიეღო? არაფერი. ოჟიოელებს უფასოდ ემსახურება აბანო, წისქვილები, სამჭედლო.

მუშებს საკარმიდამო ვენახებში მწკრივთაშორის მიწის დამუშავება და წამლობა რომ უჭირთ, ეს ახალი ამბავი არ არის. ეს სამუშაოები მეურნეობისა და საკარმიდამო ზვრებში ერთდროულად მიმდინარეობს. ამიტომ ჩვენ შარშანდლიდან მოყოლებული საკარმიდამო ვენახებში მიწას ჩვენი მანქანებით უფასოდ ვამუშავებთ, უფასოდ ვწამლავთ და სხვა.

მეურნეობაში შემავალი სოფლების ოჟიოს, კოლოთოსა და ალავერდის სკოლები და საბავშვო ბაღები ჩვენი ხარჯებით შევაკეთეთ. ამაზე ოცი ათასი მანეთი გავიღეთ. შვიდი ათასი მანეთის ინვენტარი და სათამაშოები შევუძინეთ საბავშვო ბაღებს.

არც ჩვენი ომის ვეტერანები დაგვიწყებია. ომის მონაწილეებს გამომუშავების ნორმები 30 პროცენტით შევუმცირეთ, ანაზღაურება კი იგივე დავუტოვეთ. ომის მონაწილეებს თითო თვის ხელფასით დავაჯილდოებთ, უფასოდ გავგზავნით გმირ ქალაქებსა და იმ ადგილებში, სადაც მათ უბრძოლიათ.

ახალგაზრდული ოჯახებისათვის აშენდა რვაბინიანი სახლი. ახლა კიდევ მთავრდება ერთი სახლის მშენებლობა, საპირველმაისოდ თოთხმეტი ოჯახი მიიღებს ბინას. მათ გამოვუყოფთ საკარმიდამო ნაკვეთებს; ჩვენ გვინდა, რომ ახალგაზრდული ოჯახები მრავალშვილიანი იყოს. გადავწყვიტეთ, წლეულს ორი შვილის პატრონებს მეურნეობის სოციალურ-კულტურული ღონისძიებების ფონდიდან თითოეულზე 100-100 მანეთი მივცეთ, მესამე-მეოთხე ბავშვის ყოლისას — 200-200 მანეთი, მეხუთეზე — 300 მანეთი. მრავალშვილიანი დედებისათვის სხვა საჭირო ღონისძიებებიც განხორციელდება.

ჩვენივე რაიონის პანკისის ხეობაში მუშახელი საჭიროზე მეტია. იქ უჭირთ მათი დასაქმება. რაიკომის პირველი მდივნის მითითებით ამ ხეობის სოფელ ომალოში შარშან ორი ბრიგადა შევქმენით. ისინი ავტობუსებით ყოველდღიურად მოგვყავდა ჩვენთან და სავენახე სამუშაოებში გვეხმარებოდნენ. წელს სამ-ოთხ უგანრიგო ბრიგადას შევქმნით ომალოში, მივუზომავთ ვენახებს და ყოველმხრივ შევუწყობთ ხელს, რომ ნაყოფიერად იმუშაონ და გასამრჯელოც გულუხვად მიიღონ.

გადავწყვიტეთ, რომ წლევანდლიდან ჩვენი მეურნეობის ახალგაზრდა მუშებს, რომლებიც არმიაში წავლენ, შევუნარჩუნოთ საშუალო ყოველთვიური ხელფასი. არმიიდან დაბრუნების შემდეგ ორი წლის ხელფასს — შემნახველი სალაროს წიგნაკს — გადავცემთ.

• • •

ეს ყველაფერი ბლოკნოტში ჩავიწერეთ და მერე პარტიის ახმეტის რაიკომის პირველ მდივანს ზაურ მანიჟაშვილს გავაცანით. მან სკკპ ცენტრალური კომიტეტის რიგგარეშე მარტის პლენუმზე ამხანაგ გორბაჩოვის სიტყვის ერთ აბზაცზე მიმითითა: „საქმე ეხება თვით ადამიანის განვითარებასაც, მისი ცხოვრებისა და შრომის მატერიალური პირობების, მისი სულიერი სახის თვისებრივ გაუმჯობესებას".

— აი ჩვენი მუშაობის ქვაკუთხედი, — თქვა ზ. მანიჟაშვილმა, — დღეს ეს ჩვენი მთავარი საფიქრალია. ვინ როგორ შევასხამთ ამას ფრთებს, მალე გამოჩნდება. რაიონში ყველა სოფელს უნდა ვაგრძნობინოთ საზოგადოებრივი მეურნეობის სიკეთე, ყველა ხელმძღვანელს უნდა მოვთხოვოთ, რომ ამ დებულების მიხედვით იმუშაონ. ეს უნდა იყოს მათი ყოველდღიური საზრუნავი.

— რაიონის კარიბჭე ალბათ ნახეთ, — მეუბნება მდივანი, ბევრი სხვაც კეთდება. ჩვენ მიზნად დავისახეთ, რომ სამამულო ომში გამარჯვების ორმოცი წლისთავისათვის ახმეტის რაიონის სოფლები ისე გავალამაზოთ, გზები და მოედნები ისე მოვაპირკეთოთ, როგორც ომში დაღუპულ გმირ ვაჟკაცებს ეკადრებათ, როგორც ჩვენს მშრომელებს ესიამოვნებათ.

სოფელ დუისთან „დაბალგორაზე" ქვით ნაგები გრანდიოზული სვეტები და თეატრონი აღუმართავთ. იგი პანკისის ხეობიდან შინ მოუსვლელთა მემორიალია. უნდა ნახოთ, რა გულდაგულ შრომობენ ჩვენი კაცები. თვითონ ახმეტის ირგვლივ და შიგნით ქალაქის ცენტრი მთლად იცვლის სახეს. ასევეა ყველა სოფელში.

მიზანი და სურვილი როცა ნათელია, წინ ვინღა დაგიდგებათ, ახმეტელებო, მატნელებო, ოჟიოელებო!..

ვ. გოზალიშვილი.

ვაჭრობა, მომსახურება, პრობლემები

მყიდველი არ უნდა დაზარალდეს

ვინდათ ქაღალდის პარკში შეფუთული შაქრის ფხვნილი შეიძინოთ. გამყიდველი გაწვდით „დაფასოებულ" საქონელს, მაგრამ ხდება საოცრება — ფხვნილი იბნევა, გაცვივათ ხელზე, ტანსაცმელზე... იმიმუშნებით, მაგრამ ვერაფერს ამბობთ — საეჭვო გამძლეობის ქაღალდია. რამდენი პარკიც უნდა შეგიცვალონ, შესაძლოა არც ერთი არ აღმოჩნდეს მთელი.

ასეთივე სურათი შეიძლება განმეორდეს მარილის შეძენის დროსაც. განაწყენებული მყიდველი გუნებაში ფიქრობს: გამძლე ქაღალდში ვერ გაახვიეს, ასე რომ არ აწვალონ და აზარალონ ადამიანი?! ცხადია, ასეთი რამ მას ხმამაღლა არ წამოსცდება. ზოგიერთი სიმახინჯის წინააღმდეგ ბრძოლას მოთმენას ამჯობინებს, რადგან მოქალაქეობრივი გრძნობა აქვს დაჩლუნგებული. სათქმელი კი უნდა ითქვას, ნაკლის მიზეზი დაიძებნოს, რათა იგი აღმოიფხვრას.

მიზეზი საქბაკალეის თბილისის ბაზის შაქრის დასაფასოებელ საამქროში უნდა ვეძებოთ. შევიხედოთ შიგნით. შაქრის ფხვნილის დაფასოება აქ ძველებური წესით მიმდინარეობს. დღეს ამ საქმისათვის შეუფერებელი, 16 ნახევრად ავტომატი. შაქრის წონა რომ ზუსტი იყოს, აგრეგატს მუშა უნდა მიეხმაროს, შეავსოს პარკი. ამ საცოდაობას ისიც ემატება, რომ მანქანები ათი-თორმეტი წლის წინათ არის დადგმული და მთლიანად ამორტიზებულია, წარამარა მწყობრიდან გამოდის. სათადარიგო ნაწილები არ იშოვება, მათ სხვადასხვა მექანიკურ ქარხანაში დიდი ხვეწნა-მუდარით აჩარხვინებენ და ასე გადიან ფონს, თუ ამას გასვლა ჰქვია.

შესაფუთი საამქროსათვის ნახევრად ავტომატები, როგორც მოგახსენეთ, საერთოდ შეუფერებელია. აქ უნდა იყოს წარმოების პროცესის თავიდან ბოლომდე შემსრულებელი ავტომატური ხაზები, მაგრამ რესპუბლიკის სახელმწიფო მომარაგებისა და საგეგმო კომიტეტების წინაშე საკითხის არაერთგზის დასმის მიუხედავად ამას დღემდე ვერ მიაღწიეს.

ასეთ ვითარებაში უნდა ეზრუნათ დაფასოების ხარისხის გაუმჯობესებისათვის. ამას კი საუკეთესო შესაფუთი ქაღალდი სჭირდებოდა. ვერც ქაღალდი იშოვეს. საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ სულფიდური ქაღალდის გამოყოფის თაობაზე არაერთხელ მიმართა სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, მაგრამ იმ მოტივით, რომ დამფასოებელი საამქრო დაუგეგმავი დამხმარე საწარმოა და ფონდი არ ჰქონია, ქაღალდი არ მისცეს. აი ასე შეიკრა წრე.

ერთი მხრივ პასუხი სწორია. შეფუთვა ვაჭრობის სისტემის საქმე არ არის. იგი ხომ პროდუქციის გამოშვების ტექნოლოგიური პროცესის ბოლო ფაზაა. ამიტომ უმჯობესი იქნება, თუ ამ ფუნქციას მრეწველობის შესაბამის დარგს დააკისრებენ. მაშინ თავისთავად მოიხსნება პრობლემები, ქაღალდისა თუ მანქანების ფონდის საკითხები. მაგრამ თუ შეფუთვა მაინცდამაინც ვაჭრობის სამინისტროს საქბაკალეის ბაზებმა უნდა აწარმოონ, მაშინ მათ სათანადო პირობები უნდა შეუქმნან.

თუმცა ჩვენ საქმის ვითარების სხვა მხარე უნდა გაგაცნოთ. სამწუხარო ის არის, რომ არსებული საშუალებებიც წესიერად არ არის გამოყენებული. არსებობს ბაზა, შესაფუთი საამქრო, დაკომპლექტებულია იგი შესაბამისი შტატით, ჰყავს ხელმძღვანელები საქბაკალეის თბილისის ბაზის დირექტორით და მისი მოადგილით დაწყებული და საამქროს უფროსით და პარტიული ორგანიზაციის მდივნით დამთავრებული.

რა გამართლება შეიძლება მოეძებნოს იმ გარემოებას, რომ საამქროში ანტისანიტარიაა, იგი იშვიათად იგვება. ტუალეტები მოუწყობელია, ყველგან არ დგას ხელსაბანი, ელექტროსაშრალებელი. არ მოდის ცხელი წყალი, არ მუშაობს საშხაპეები. ქალთა ჰიგიენის ოთახები მცირე ფართობის და მოუწყობელია. სამედიცინო პუნქტს ვიღა ჩივის, როცა პირველი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისათვის მედიკამენტების კუთხეც კი არ გამოუყვიათ. ვის მოეკითხება ყოველივე ამისათვის? ცხადია, უწინარესად საამქროს უფროსმა ზაურ დონაძემ უნდა აგოს პასუხი, რადგან იგი ამავე დროს პარტიული ბიუროს მდივანიც გახლავთ. პირადად არის ვალდებული აქ სანიმუშო სამუშაო პირობები შექმნას. თავის დროზე მოხდა საამქროს რეკონსტრუქცია, მოეწყო ვენტილაცია და ასპირაცია. თუ ყოველივეს ყოველდღიურად არ მოუვლი, წარმოებაში სათანადო პროფილაქტიკურ მუშაობას არ გასწევ, წესრიგი მოიშლება. აკი მოიშალა კიდეც.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების განყოფილების დავალებით ვაჭრობის სამინისტროს საქონლის ხარისხისა და ვაჭრობის სახელმწიფო ინსპექციის მთავარმა სამმართველომ და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სანეპიდსამმართველომ ამას წინათ შეამოწმეს საქბაკალეის თბილისის ბაზის შაქრის დასაფასოებელი საამქრო.

საკონტროლოდ აწონეს 600 ცალი კილოიანი პაკეტი, აქედან 196 პაკეტს, თითოეულს (დასაშვები 15 გრამზე) 16-100 გრამამდე აკლდა (32,6 პროცენტი), ხოლო 53 პაკეტში თითოეულში აღმოჩნდა 16-დან 80 გრამამდე მეტი (8,8 პროცენტი). შემოწმებული შაქრის ფხვნილი დაფასოებული იყო მთლიანად უხარისხო, ადვილად ხევად პაკეტებში, რის შედეგადაც ირღვევა ჰერმეტულობა და იბნევა შაქარი. შემოწმებულ პაკეტებს მთლიანად წონაში დააკლდა 6735 კილოგრამი შაქარი, თითოეულს 11,2 გრამი.

საბითუმო ვაჭრობის რესპუბლიკური კანტორის საქბაკალეის თბილისის ბაზის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელ ო. დადიანს და მის მოადგილეს გ. საცერაძეს, რომელიც წარმოებას კურირებს, მკაცრად უნდა მოეკითხოთ საამქროში სამუშაო პირობების უქონლობის, ანტისანიტარიისა და სხვა უწესრიგობათა გამო, რაც ხელს უშლის სტანდარტული, ხარისხიანი საქონლის გამოშვებას. ზოგ-ზოგთა უგერგილო მუშაობის გამო მომხმარებელი არ უნდა დაზარალდეს.

ცხადია, უკეთესი იქნებოდა, საამქროში ავტომატური ხაზები რომ დაედგათ. ეს დიდ ეკონომიკურ მოგებას მისცემდა წარმოებას, საგრძნობლად შეამცირებდა მუშახელის რაოდენობას, გასწევდა დროის ეკონომიას, გამორიცხავდა დატაცების დანაშაულობებს, რადგან დიდი მწარმოებლობის ეს მანქანა მხოლოდ სტანდარტების დაცვით მუშაობს. უხარისხო ქაღალდის მიწოდებისა და წონის დაკლების შემთხვევაში იგი ჩერდება. მექანიზაციის ასეთი დონის პირობებში ბევრი ნაკლოვანება თავისთავად აღმოიფხვრებოდა.

არა მარტო პროდუქციის დატაცებაა დანაშაული, არამედ საამქროში არსებული ანტისანიტარიაც და მისი მომხმარებლისათვის იმ სახით მიწოდება, როგორც ეს დღეს ხდება.

ამ საკითხზე ამჯერად მეორედ იმსჯელა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ვაჭრობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებაში არსებული ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის საკოორდინაციო კომისიამ, რომლის სხდომაც ამას წინათ გაიმართა. აღინიშნა, რომ ნაკლოვანებების გამოუსწორებლობა გამოწვეულია მიღებული დადგენილებების შეუსრულებლობით და საქმის ბოლომდე მოუყვანლობით. კომისიამ შეიმუშავა სათანადო რეკომენდაციები. პარტიის თბილისის 26 კომისრის რაიკომსა და რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტროს დაევალათ განახორციელონ ორგანიზაციულ-სამეურნეო ღონისძიებანი. ამასთან რეკომენდაცია მიეცა ვაჭრობის სამინისტროს განიხილოს საქბაკალეის თბილისის ბაზის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ო. დადიანის პერსონალური პასუხისმგებლობისა და მისი სხვა სამუშაოზე გამოყენების თაობაზე, აგრეთვე იმსჯელოს ბაზის სხვა თანამშრომელთა შესახებ.

ნ. ნორაკიძე.

დიასახლისების თანაშემწე

ბულგარეთში დიასახლისების საიმედო თანაშემწე გახდება წყლის ავტოსტოპი. იგი ბინებში წყალსადენ მილებზე ვენტილს შეცვლის. წყლის ავტოსტოპის გაბარიტები თითქმის ისეთივეა, როგორიც ყველასათვის ცნობილ ვენტილს აქვს. გარეგნულად იგი მრგვალ კოლოფს მოგვაგონებს. ავტოსტოპს აქვს მაბრუნი ბერკეტი, რომელიც ავტომატურად რეაგირებს წყლის მიწოდებაზე. თუ დიასახლისს დაავიწყდება ონკანის დაკეტვა, როცა წყალი არ მოდის, მისი წამოსვლისთანავე ონკანს ავტოსტოპი დაკეტავს.

ასეთი მარტივი და ორიგინალური სიახლე შემოგვთავაზა თბილისის სამხატვრო აკადემიის სამრეწველო ხელოვნების კათედრის უფროსმა მასწავლებელმა გ. დვალმა. ეს სიახლე განიხილა და მოიწონა სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების განვითარების რესპუბლიკურმა კომისიამ. კომისიამ საჭიროდ ცნო უახლოეს დროს შეიქმნას ავტოსტოპის წარმოების უბანი და ბაზა რესპუბლიკის ერთ-ერთ მანქანათსაშენებელ საწარმოში.

სიახლეთა შორის არის ზეთის საწმენდი ფილტრი, სხვადასხვა ზომის მომინანქრებული ჯამები, გამოსართველები, როზეტები, დამაგრძელებელ-განმშტოებელი, წოლდები, უნივერსალური ნაჯახი, მოძრავი პატარა სკამი, სამუხრუჭე დისკო და სხვა ნაწარმი.

კომისიამ გააანალიზა „საქცენტრმრეწვდანერგვის" მიერ გაწეული მუშაობა მასობრივი მოთხოვნის საქონლის წარმოებაში ჩაბმისათვის და დადებითად შეაფასა იგი. ამ დარგის სასაქონლო პროდუქციის საერთო მოცულობაში სახალხო მოხმარების საქონლის ხვედრითი წილი 1980 წელს 5,9 პროცენტიდან მიმდინარე წლის პირველ კვარტალში 11,1 პროცენტამდე გაიზარდა. მაგრამ აღინიშნა, რომ ყველა საწარმომ ერთნაირი ენთუზიაზმით როდი მოჰკიდა ხელი ამ დიდმნიშვნელოვანი ამოცანის შესრულებას. ამ ნაწარმის წარმოების დავალებანი ვერ შეასრულეს ქარხანა „აგრეგატმა" და წნორის მექანიკურმა ქარხანამ, სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ელვამ". მასობრივ მოთხოვნილების საქონლის გამოშვების ზრდის ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულ ტემპს ჩამორჩებიან ქარხნები „მინანქარსადენი" და თბილისის საიუველირო, საინსტრუმენტო ქარხნები, ქარხანა „აქატი", საწარმოო გაერთიანება „ჩარხმშენებელი".

კომისიამ საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა ყურადღება მიაპყრო იმას, რომ უთუოდ უნდა შესრულდეს სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების დავალებანი.

კომისიის სხდომაში მონაწილეობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ს. ე. ხაბეიშვილი.

(საქინფორმი).

დაჯილდოება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით:

რესპუბლიკის წიგნის საგამომცემლო ორგანიზაციებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოცი წელთან დაკავშირებით გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს" მთავარი რედაქტორის მოადგილე ამხ. რევაზ დიმიტრის ძე **ორჯონიკიძე** დაჯილდოვდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საპატიო სიგელით.

დიდი სამამულოს ქრონიკები

აი, რას წერდა გაზეთი „კომუნისტი" 40 წლის წინათ

1945 წლის 27-31 მარტი

● **უკრაინის** მე-3 ფრონტის ჯარებმა მოიგერიეს გერმანელთა თერთმეტი სატანკო დივიზიის იერიშები ბუდაპეშტის სამხრეთ-დასავლეთით, გაანადგურეს ისინი და 70 კილომეტრით წაიწიეს წინ 100 კილომეტრზე მეტი სიგრძის ფრონტზე. შეტევის მსვლელობაში ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს ქალაქები სეკეშფეჰერვარი, ბორი, ზირიზი, ვესპრემი, ენინგი, აგრეთვე 350-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი.

● **უკრაინის** პირველი ფრონტის ჯარებმა, რომლებიც შეტევას განაგრძობენ, 24 მარტს სილეზიაში ოდერის დასავლეთით დაიკავეს ქალაქები ნოისე და ლეობშიუტელი.

● **უკრაინის** მე-2 ფრონტის ჯარები შეტევაზე გადავიდნენ, გაარღვიეს გერმანელთა ძლიერი თავდაცვა ვერტეშხეღმეგის მთებში ბუდაპეშტის დასავლეთით, გაანადგურეს გერმანელთა ჯარების ჯგუფი ესტერგომის რაიონში და წინ წაიწიეს 45 კილომეტრით. შეტევის მსვლელობაში ფრონტის ჯარებმა დაიკავეს ქალაქი ესტერგომი, ნესმეი, ფელშგალა, ტატა, აგრეთვე 200-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი. ამ ბრძოლების დროს ჩვენმა ჯარებმა ტყვედ წამოიყვანეს მოწინააღმდეგის 7000 ჯარისკაცი და ოფიცერი.

● **უკრაინის** მე-2 ფრონტის ჯარებმა ჩეხოსლოვაკიაში დაიკავეს ქალაქი ბანსკა-ბისტრიცა.

● **დედაქალაქი** მოსკოვი სამშობლოს სახელით სალუტს აძლევს ბელორუსიის მე-3 ფრონტის ჯარებს, რომლებმაც 25 მარტს ბრძოლით დაიკავეს ქალაქი ჰაილიგენბაილი — გერმანელთა უკანასკნელი დასაყრდენი პუნქტი ფრიშ ჰაფის ყურის სანაპიროზე კენიგსბერგის სამხრეთ-დასავლეთით.

● **უკრაინის** მე-3 ფრონტის (სარდალი საბჭოთა კავშირის მარშალი ტოლბუხინი) ჯარებმა 26 მარტს ბრძოლით დაიკავეს ქალაქები პაპა და დევეჩერი — საგზაო და დიდი სარკინიგზო კვანძები და გერმანელთა თავდაცვის ძლიერი დასაყრდენი პუნქტები, რომლებიც იფარავენ ავსტრიის საზღვრებისაკენ მიმავალ გზებს.

● **სსრ კავშირის** სახალხო კომისართა საბჭო, სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისარიატი და საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 26 მარტს ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საბჭოთა კავშირის მარშალი ბ. მ. შაპოშნიკოვი — უმაღლესი სამხედრო აკადემიის უფროსი, ბოლშევიკური პარტიის ერთგული შვილი და წითელი არმიის ერთ-ერთი საუკეთესო ხელმძღვანელი. ამხანაგ შაპოშნიკოვის სახით სახელმწიფომ დაკარგა წითელი არმიის ერთ-ერთი უხუცესი და გამოჩენილი მხედართმთავარი.

● **საბჭოთა** კავშირის მარშალ ბორის მიხეილის ძე შაპოშნიკოვის ხსოვნა უკვდავყოფილი იქნება ქალაქ მოსკოვში მისი ძეგლის აგებით.

● **უკრაინის** პირველი ფრონტის ჯარებმა, რომლებიც შეტევას განაგრძობენ, 27 მარტს სილეზიის ტერიტორიაზე დაიკავეს ქალაქები შტრელენი და რიბნიკი — გზების დიდი კვანძები და გერმანელთა თავდაცვის ძლიერი დასაყრდენი პუნქტები.

წ ი ნ ს ვ ლ ი ს საიმედო ბურჯი

უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის XIII ყრილობის გადაწყვეტილება

ბუდაპეშტი. უნგრეთის სახალხო რესპუბლიკა სოციალისტური ქვეყნების თანამეგობრობის მტკიცე რგოლია. თავის მოკავშირეებთან ერთად იგი კვლავაც იბრძოლებს მშვიდობისათვის, ბირთვული ომის საფრთხის წინააღმდეგ, საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისა და მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკის დამკვიდრებისათვის, ხაზგასმულია აქ გამოქვეყნებულ გადაწყვეტილებაში, რომელიც უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის XIII ყრილობამ მიიღო პარტიის მუშაობისა და მისი მორიგი ამოცანების შესახებ.

უნგრეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის განუხრელი განმტკიცება, ორი ქვეყნისა და ხალხის ყოველმხრივი თანამშრომლობის გაფართოება, ნათქვამია დოკუმენტში, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის მთავარი მიმართულებაა. საბჭოთა კავშირი ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობისა და უნგრეთში სოციალისტური მშენებლობის საიმედო ბურჯია. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის, სსრ კავშირისა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის ურთიერთობა ემყარება პრინციპების, ძირითადი მიზნებისა და ინტერესების ერთიანობის, მეგობრობის მტკიცე კავშირის, პროლეტარული და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის მკვიდრ საძირკველს. ამ საფუძველზე ჩვენ კვლავაც განვავითარებთ ურთიერთობას მოძმე სოციალისტურ ქვეყნებთან, განვამტკიცებთ მეგობრობას და თანამშრომლობას ცხოვრების ყველა დარგში.

თავის საერთაშორისო საქმიანობაში უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტია ხელმძღვანელობს პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპებით, ხელს უწყობს საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ერთიანობის განმტკიცებას. ჩვენი პარტია, ნათქვამია გადაწყვეტილებაში, ახორციელებს მჭიდრო თანამშრომლობას საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასთან — საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ყველაზე გამოცდილ რაზმთან.

როგორც დოკუმენტშია აღნიშნული, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის XIII ყრილობა მიმდინარეობდა უნგრეთის განთავისუფლების 40 წლისთავის წინ.

საბჭოთა კავშირმა დიდი მსხვერპლი გაიღო მეორე მსოფლიო ომში და საკუთარ მხრებზე ზიდა ფაშიზმთან ბრძოლის უმთავრესი ტვირთი. უნგრელ ხალხს არასდროს დაავიწყდება საბჭოთა მეომრების გმირობა, რომლებმაც გაათავისუფლეს ჩვენი ქვეყანა. უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის XIII ყრილობა თავის გადაწყვეტილებაში ხაზს უსვამს, რომ პარტია კვლავაც განამტკიცებს ხელმძღვანელ როლს საზოგადოებაში, პასუხისმგებლობის გრძნობით ემსახურება ხალხს, სოციალიზმის საქმეს, წარმართავს ძალისხმევას უნგრეთში განვითარებული სოციალისტური საზოგადოების ასაშენებლად.

— რუმინეთი —

დიდი ეროვნული კრების სესია

ბუქარესტი. რუმინეთის დიდი ეროვნული კრების აქ მიმდინარე პირველ სესიაზე რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და დემოკრატიის და სოციალისტური ერთიანობის ფრონტის ეროვნული საბჭოს წინადადებით რუმინეთის კომპარტიის გენერალური მდივანი ნ. ჩაუშესკუ აირჩიეს რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტად. მან დეპუტატებს სიტყვით მიმართა.

სესიაზე აირჩიეს აგრეთვე რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭო, რომლის თავმჯდომარეც გახდა ნ. ჩაუშესკუ. რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრად არჩეულია კ. დესკელესკუ. დამტკიცებულია მინისტრთა საბჭოს ახალი შემადგენლობა. საგარეო საქმეთა მინისტრი გახდა შ. ანდრეი, ეროვნული თავდაცვის მინისტრი — კ. ოლტიანუ.

პ ე რ ე ს დ ე კ უ ე ლ ი ა რ ი ს მოგზაურობა

ნიუ-იორკი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი ხ. პერეს დე კუელიარი გაემგზავრა სპარსეთის ყურის რაიონში. იგი ეწვევა საუდის არაბეთს, ომანს, ბაჰრეინსა და კატარს. როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წრეებში აღნიშნავენ, ამ ქვეყნების ხელმძღვანელებთან მოლაპარაკების დროს ძირითადი ყურადღება დაეთმობა ახლო აღმოსავლეთის პრობლემას და კვლავ მკვეთრად გამწვავებულ ირან-ერაყის სამხედრო კონფლიქტს.

ბოლო ხანს ეს საკითხები საერთაშორისო გაერთიანების დიდ შეშფოთებას იწვევს. ისრაელმა, რომელიც ვაშინგტონის მფარველობით სარგებლობს და მის დახმარებას ეყრდნობა, რეპრესიების ახალი ტალღა დაატეხა თავს ლიბანის დაპყრობილი ტერიტორიების მოსახლეობას, თავხედურად უარს ამბობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გადაწყვეტილებათა შესრულებაზე, რომელთა მიზანია ახლო აღმოსავლეთის პრობლემის სამართლიანი და ყოვლისმომცველი მოწესრიგება. რეგიონში ვითარების გასამწვავებლად ამერიკის ზოგადი სტრატეგიის ჩარჩოებს ესადაგება აგრეთვე ორი ქვეყნის ეროვნულ ინტერესებთან შეუთავსებელი ირან-ერაყის ომი, რომელიც თითქმის ხუთი წელია გრძელდება. იგი ართულებს მდგომარეობას სპარსეთის ყურის ზონაში. ამ რაიონის ქვეყნებს თიშავს ისრაელის აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლისაგან.

ირან-ერაყის ფრონტზე

ბაღდადი. როგორც ერაყის მთავარი სამხედრო სარდლობის კომუნიკეშია ნათქვამი, 28 მარტს ერაყის თვითმფრინავებმა შეასრულეს 106 საბრძოლო რეისი, მიაყენეს მოწინააღმდეგეს ცოცხალი ძალისა და ტექნიკის დიდი ზარალი. ვერტმფრენავის ცეცხლით „მდინარე ტიგროსის აღმოსავლეთით" მდებარე რაიონში ერაყელებმა გაანადგურეს ირანელთა რამდენიმე კატარღა, სათვალთვალო პუნქტი, მოსპეს მთელი რიგი საცეცხლე პოზიციები.

კომუნიკეს თანახმად, ერაყის ავიაცია თავს დაესხა და მოსპო ორი „დიდი საზღვაო სამიზნე" სპარსეთის ყურეში ირანის ნავთობჩასასხმელი ნავსადგურის მახლობლად პ ა რ ი ს კუნძულზე. კომუნიკეში ნათქვამია, რომ ერაყის თვითმფრინავებმა დაბომბეს თეირანი და ირანის სხვა ქალაქები.

ირანის არტილერიამ ცეცხლი დაუშინა ქალაქ მანდალს და სოფლებს საიდ-სადიქსა და ჰურმალს.

ნიქოზია. ირანის ირნას საინფორმაციო სააგენტო იუწყება, რომ ფრონტის სხვადასხვა უბნებზე გრძელდებოდა სროლა არტილერიის გამოყენებით. ყველაზე ინტენსიური ხასიათის ბრძოლები იყო მეჰრანის, ნაუსუდისა და სუმარის რაიონებში. მოსპეს რამდენიმე ათეული ერაყელი ჯარისკაცი, ტყვია-წამლის საწყობი, მოწინააღმდეგის სხვადასხვაგვარი საბრძოლო ტექნიკა.

ირანის არტილერიამ ცეცხლი დაუშინა მთელ რიგ სამხედრო და ეკონომიკურ ობიექტებს ბასრაში და ერაყის სხვა ზოგიერთ ქალაქში.

ირნას ცნობაში ნათქვამია, რომ ერაყის ავიაციამ ცეცხლი დაუშინა ირანის ქალაქ ისლამს. საჰაერო თავდაცვის ძალებმა თეირანის თავზე ერაყელთა თვითმფრინავი ჩამოაგდეს.

— ინდოეთი —

შეხვედრა დელში

პრემიერ-მინისტრმა

რ. განდიმ მიიღო

ინდოეთის კომპარტიის

დელეგაცია

დელი. ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა რაჯივ განდიმ მიიღო ინდოეთის კომუნისტური პარტიის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობდნენ ინდოეთის კომპარტიის ეროვნული საბჭოს გენერალური მდივანი ჩ. რაჯეშვარა რაო და ინდოეთის კომპარტიის საპარლამენტო ფრაქციის ლიდერი ინდრაჯით გუფთა. გამართული საუბრის დროს განიხილეს საკითხი პენჯაბში ვითარების პოლიტიკური მოწესრიგების გზების შესახებ.

რ. განდიმ აღნიშნა რა რეაქციული ძალების მიზეზით ამ შტატში შექმნილი რთული მდგომარეობა და თქვა, რომ აუცილებელია განახორციელონ ეფექტიანი ღონისძიებანი, რათა შექმნან იქ სტაბილური ვითარება. პრემიერ-მინისტრმა ინდოეთის კომპარტიის წარმომადგენლებს აცნობა, თუ რა ზომებს მიმართავს ქვეყნის მთავრობა სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიასთან დიალოგის მოსაწყობად იმ მიზნით, რომ შეიმუშაოს საერთო პლატფორმა პენჯაბში ვითარების უსწრაფესი მოწესრიგებისათვის.

თავის მხრივ, ინდოეთის კომპარტიის დელეგაციამ მთლიანად მოიწონა მთავრობის ამასწინანდელი მეცადინეობა შტატის პრობლემის პოლიტიკური გადაჭრის მიზნით და აღნიშნა, რომ ეს ღონისძიებანი ხელს შეუწყობს აქ ნდობისა და ურთიერთგაგების ატმოსფეროს დამყარებას. ინდოეთის კომუნისტური პარტია, თქვა ჩ. რაჯეშვარა რაომ, კვლავაც დაეხმარება რ. განდის მთავრობას პენჯაბის საკითხის გადაწყვეტაში.

ამასთან დაკავშირებით ინდოეთის კომპარტიის ეროვნული საბჭოს გენერალურმა მდივანმა პრემიერ-მინისტრს განსახილველად წარუდგინა ინდოეთის კომპარტიის მიერ შემუშავებული ათპუნქტიანი პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს პენჯაბში სიტუაციის კომპლექსურ მოწესრიგებას.

ევროპაში

ფაქტები მოვლენები

ეროვნული ბიბლიოთეკა

30 მარტი ■ საქდესი იუწყება

„კონსტრუქციული თანამშრომლობის" შედეგი

სამხრეთაფრიკელი რასისტები აძლიერებენ რეპრესიებს შავკანიანი მოსახლეობის წინააღმდეგ

ნიუ-იორკი. პრეტორიის რასისტულ რეჟიმთან „კონსტრუქციული თანამშრომლობის" პოლიტიკამ, რომელსაც ვაშინგტონი ახორციელებს, გამოიწვია სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის შავკანიანი მოსახლეობის წინააღმდეგ რეპრესიების გაძლიერება. ეს ჟურნალ „ნიუსუიკისათვის" მიცემულ ინტერვიუში აღნიშნა ავტორიტეტიანი საზოგადოებრივი ორგანიზაციის „ტრანსაფრიკის" აღმასრულებელმა დირექტორმა რენდოლ რობინსონმა.

„სამხრეთ აფრიკის თეთრკანიანთა უმცირესობის რეჟიმს დაუსჯელობის იმედი აქვს, რადგან მას მოკავშირე ჰყავს თეთრ სახლში", — განაცხადა რ. რობინსონმა. მისი თქმით, ხელისუფლების სათავეში რესპუბლიკელთა ახლანდელი ადმინისტრაციის ჩადგომის შემდეგ მან მოახერხა გაცნობოდა სახელმწიფო დეპარტამენტის საიდუმლო მემორანდუმს, რომელშიც მოცემული იყო ემის დახასიათება, თუ როგორი უნდა იყოს ამერიკის შეერთებული შტატებისა და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ურთიერთობა. ეს ურთიერთობა, ნათქვამი იყო დოკუმენტში, რესპექტაბელობას მიანიჭებს სამხრეთ აფრიკის რეჟიმს იმის სანაცვლოდ, რომ იგი დასავლეთთან ითანამშრომლებს ნამიბიის საკითხზე და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა კვლავ შეასრულებს რეგიონში ამერიკის ინტერესების გამტარებლის როლს.

ამავე დროს, ხაზგასმით აღნიშნა რ. რობინსონმა, დოკუმენტში სიტყვაც არ იყო დაძრული სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის 22-მილიონიანი შავკანიანი მოსახლეობის მიმართ პოლიტიკის თაობაზე.

ვაშინგტონისა და პრეტორიის მჭიდრო ურთიერთობას მოჰყვა უწინარეს ყოვლისა აპარტეიდის რეჟიმის სამხედრო მანქანისა და რეპრესიული აპარატის განმტკიცება. ამერიკის ადმინისტრაციამ, აღნიშნა შემდეგ რ. რობინსონმა, გააუქმა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკისათვის სპეციალური საპოლიციო მოწყობილობისა და აღჭურვილობის წარმოების ლიცენზიების მინიჭების შეზღუდვა. თეთრმა სახლმა სანქცია მისცა პრეტორიისათვის უკვე 100 მილიონი დოლარის ისეთი ტექნიკის მიწოდებას, რომლის გამოყენება შეიძლება სამხედრო მიზნებისათვის.

— ინგლისი —

ს ა ჭ ი რ ო ა გ ო ნ ი ე რ უ ლ ი პ ო ლ ი ტ ი კ ა

ლონდონი. დიდმა ბრიტანეთმა ძირეულად უნდა შეცვალოს თავისი საგარეო პოლიტიკა, იგი უნდა გამოვიდეს ნატოს რიგებიდან, უარი თქვას ამერიკის შეერთებულ შტატებთან სამხედრო პარტნიორობაზე, დაიწყოს საერთაშორისო ასპარეზზე მიუმხრობლობისა და ნეიტრალიტეტის გეზის განხორციელება. ეს შეესაბამება ქვეყნის ნამდვილ ეროვნულ ინტერესებს.

ასეთი დასკვნა გამოაქვს პიტერ ჯონსონს წიგნში „ნეიტრალიტეტი. პოლიტიკა ბრიტანეთისათვის", რომელიც აქ გამოუშვა „მორის ტემპლ სმიტ ლიმიტედ" გამომცემლობამ. წიგნის ავტორი მეორე მსოფლიო ომის ვეტერანია, მეთაურობდა ბომბდამშენების ესკადრილიას.

პ. ჯონსონი სულაც არ არის პაციფისტი. იგი ილაშქრებს იმის წინააღმდეგ, რომ დიდმა ბრიტანეთმა ცალმხრივად უარი თქვას ბირთვულ იარაღზე, არ არის გამსჭვალული სიმპათიით სოციალიზმის ქვეყნებისადმი, მათი საგარეო პოლიტიკისა და სოციალური წყობილებისადმი, მაგრამ იგი მტკიცედ არის დარწმუნებული, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკის ფარვატერში ბრმა გაყოლა საფრთხეს უქმნის ინგლისის უშიშროებას.

მიუხედავად იმისა, რომ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის ინტერესები მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისაგან, წერს პ. ჯონსონი, დიდი ბრიტანეთის საგარეო პოლიტიკას და მის ადგილს მსოფლიოში მნიშვნელოვანწილად განაპირობებს ვაშინგტონის გადაწყვეტილებანი. შეერთებული შტატები მოითხოვს, რომ მოკავშირეებმა, მათ შორის ბრიტანეთმა, უპირობოდ დაუჭირონ მხარი მის მკაცრ პოლიტიკას სსრ კავშირის მიმართ.

თვით ინგლისი „ვერ გრძნობს საბჭოთა რუსეთის ვერავითარ უშუალო საფრთხეს — სამხედროს თუ პოლიტიკურს", მაგრამ იმისათვის, რომ განახორციელოთ მსოფლიოში შექმნილი ვითარების შესახებ საკუთარ წარმოდგენაზე დაფუძნებული პოლიტიკა, სიმამაცე გვმართებს. აღარ უნდა ვუცქეროდეთ სამყაროს, და განსაკუთრებით საბჭოთა კავშირს, ამერიკული სათვალით, ხაზგასმით აღნიშნავს პ. ჯონსონი.

საერთაშორისო კომენტარი

„საერთო ბაზარი": წინააღმდეგობანი იზრდება

წინა კვირის მანძილზე ბრიუსელში „საერთო ბაზრის" ხელმძღვანელმა ორგანოებმა გამართეს სხდომების მთელი სერია სოფლის მეურნეობის, მრეწველობისა და საგარეო საქმეთა მინისტრების მონაწილეობით, რომელიც დამთავრდა სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების დონის ევროპის გაერთიანებათა სესიით.

„საერთო ბაზარმა", რომელიც დასავლეთ ევროპის ათი ქვეყნის კარჩაკეტილ დაჯგუფებას წარმოადგენს, უკვე კარგა ხანია მოიპოვა „დაქსაქსული გაერთიანების" რეპუტაცია. მის შექმნას არ მოჰყოლია შედეგად მწვავე მეტოქეობისა და შეურიგებელი წინააღმდეგობების აღმოფხვრა, რისი იმედიც ჰქონდათ მის ორგანიზატორებს.

„ათეულის" სოფლის მეურნეობის მინისტრები სამი დღის განმავლობაში კინკლაობდნენ და ერთმანეთს უყენებდნენ ბრალდებებს. 1985-1986 წლების მოსავლის პროდუქციის შესყიდვის ფასების შემცირების საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ მაინც ვერ მორიგდნენ.

თავის მხრივ, მრეწველობის მინისტრებმა ვერ დააყენეს საშველი მეტალურგიული მრეწველობის კრიზისის პრობლემას. თუმცა, ისინი მორიგდნენ, რომ სახელმწიფო დახმარებას აღმოუჩენენ საფრანგეთისა და იტალიის ფოლადსამსხმელო კონცერნებსა და საწარმოებს, რაც პრესამ „მომაკვდავისათვის ჟანგბადის უკანასკნელ ყლუპად" შეაფასა. ამასთანავე ბელგიას, ინგლისსა და ლუქსემბურგს, რომელთა მეტალურგია არანაკლებ გაჭირვებაშია, სახელმწიფო სუბსიდიებზე უარი ეთქვათ, რაც მთავარია, „ათეულის" მინისტრებმა ვერ იპოვეს ქმედითი პასუხი „ფოლადის ომზე", რომელსაც დასავლეთ ევროპის კომპანიების წინააღმდეგ ეწევა შეერთებული შტატები. დასავლეთი ევროპა ჯერაც ვერ მოსულა გონს იმ დარტყმის შემდეგ, რომელიც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მიაყენა თავისი გადაწყვეტილებით — მთლიანად აეკრძალათ 1984 წლის ბოლო კვარტალში ევროპიდან ტეხას-კალიფორნიის ტრანსამერიკული ნავთობსადენის მშენებლობისათვის ფოლადის მილების შემოტანა, ხოლო 1985 წლის კვოტა ორჯერ შეემცირებინათ. ერთადერთი, რის შესახებაც მორიგდნენ მინისტრები, ის არის, რომ მიმართეს საერთო ბაზრის" აღმასრულებელ ორგანოს წინადადებით — „დაუყოვნებლივ შეისწავლოს მთელი საჭირო საპასუხო მოქმედების შესაძლებლობა".

რვა წლის გაცხარებული დავისა და კონფლიქტების შემდეგ „საერთო ბაზრის" საგარეო საქმეთა მინისტრებმა ბოლოს და ბოლოს შეძლეს პრინციპულად მორიგებულიყვნენ ორი ახალი წევრის — ესპანეთისა და პორტუგალიის მიღების საკითხში. მაგრამ დასავლეთ ევროპის ქვეყნების პრესა ამასთან დაკავშირებით დიდ აღტაცებას არ გამოთქვამს. პირიქით, საქმეში ჩახედული მეთვალყურენი ხაზს უსვამენ, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქციის შესყიდვის ფასების მოუგვარებლობის გამო „საერთო ბაზარში" უპირატესად აგრარულ სახელმწიფოთა მიღებას მოჰყვება ძველ წინააღმდეგობათა გაძლიერება და ახალი უთანხმოებანი.

კაპიტალის სამყაროში

პრესა ადასტურებს

„ახალი ღარიბები"

— „შპიგელი" (გფრ) —

სოციალურ წინააღმდეგობათა ზრდა კაპიტალისტურ ქვეყნებში აიძულებს თვით ისეთ ლიბერალურ-ბურჟუაზიულ ყოველკვირეულსაც კი, როგორიც დასავლეთგერმანული „შპიგელია", აღიაროს, რომ „საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს" მითი დასავლეთ გერმანიაში და სხვა ქვეყნებშიც წარსულს ჩაბარდა, რომ დღითი დღე მწვავდება მშრომელი მასების სიდუხჭირე, უმუშევრობა და ეკონომიკური დისბალანსი.

ვედინგის—დასავლეთ ბერლინის მუშათა რაიონის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებაში მაგიდებს ფარული სიგნალო ღილაკები გაუკეთეს. მათი საშუალებით თანამშრომლებს შეუძლიათ განგაში ატეხონ, როდესაც დახმარების მთხოვნელი დასავლეთბერლინელები მათ ცემით ემუქრებიან.

ვედინგში მიღებული უსაფრთხოების ღონისძიებანი გამონაკლისი არ არის. მთელი ქვეყნის მასშტაბით სოცუზრუნველყოფის დაწესებულებებში მდგომარეობა მკვეთრად დაიძაბა: ახლა მოხელეებს საქმე არა აქვთ მხოლოდ საზოგადოების დაბალი ფენებიდან გამოსულ დარცხვენილ და დაზიანებულ დახმარების მთხოვნელებთან. როგორც თანამშრომლები ყვებიან, მათ ხშირად ურტყამენ თავში საქაღალდეებს, ვინაიდან ამ დაწესებულებებს სულ უფრო მეტად აკითხავენ თავდაჯერებული, ოდესღაც შედარებით შეძლებული ოჯახების უფროსები, რომელთაც ჯერ სამუშაო დაკარგეს, შემდეგ—უმუშევრობის დახმარება და ბოლოს—თვით ბინაც. მათ გარდა აქ მოდიან ახალგაზრდები, რომლებსაც ჯერ საერთოდ არ ჰქონიათ სამუშაო და ამიტომ არ მიუღიათ არც ერთი პფენინგი დახმარება.

ჩანს, რომ ეს „ახალი ღარიბები", (დასავლეთ გერმანიის პროფკავშირების გაერთიანების მონაცემებით), რომელთა არსებობას კარგა ხნის განმავლობაში უარყოფდნენ ბონის პოლიტიკური მოღვაწეები, ერთბაშად უმწვავეს სოციალურ მოვლენად გადაიქცნენ. ერის შეგნებაში „ახალი სიღარიბე" შემოიჭრა მხოლოდ მას შემდეგ, რაც პროფკავშირების ფედერაციამ პრესკონფერენციაზე განსაცვიფრებელი რამ გამოაქვეყნა: ერთ-ერთი ნაშრომის დამოწმებით, რომელიც ნიურნბერგის შრომის საკითხების ინსტიტუტის მონაცემებით არის შედგენილი, პროფკავშირულმა მოღვაწეებმა გამოიანგარიშეს, რომ 2,1 მილიონ უმუშევართაგან, რომლებიც შრომის ბირჟაზე არიან აღრიცხვაზე აყვანილი, დახმარებას იღებს მხოლოდ 35 პროცენტი. 1,6 მილიონმა უმუშევარმა თავი უნდა ირჩინოს ყოველგვარ დახმარებას მოკლებულმა. არავითარ დახმარებას არ იღებს უმუშევარი ახალგაზრდობის თითქმის ნახევარი, ხოლო უცხოელი ახალგაზრდობის 78 პროცენტი.

პროფკავშირების გაერთიანების თავმჯდომარის მოადგილე გერდ მური აღნიშნავს: „1948 წლიდან უმუშევართა შორის არასოდეს ყოფილა ასე მცირე იმ პირთა რიცხვი, რომლებიც დახმარებას იღებენ. ღონისძიებათა განუხორციელებლად ეს ტენდენცია შეიძლება მომავალში კიდევ უფრო გაძლიერდეს".

ვინაიდან ასეთი უმუშევრების აბსოლუტური რიცხვი ბოლო 9 წელიწადში თითქმის 8-ჯერ გაიზარდა, სულ უფრო მეტი უმუშევარი აკითხავს სოცუზრუნველყოფის დაწესებულებებს, რათა მოითხოვონ თავიანთი „საარსებო წყარო" — დახმარება თვეში 350 მარკის ოდენობით. მურის აზრით, ის, რომ მილიონზე მეტი უმუშევარი იძულებულია ამ სახის დახმარებით იარსებოს, „არასოციალური ეკონომიის ღონისძიებების შედეგია", რომლის მეშვეობითაც ფედერაციული გერმანიის ახლანდელ მთავრობას სურდა „გაეჯანსაღებინა" გალარიბებული შრომის ბირჟა. კანონმდებლობაში ერთი მეორის მიყოლებით მრავალი ცვლილებების შეტანით გაუქმდა უმუშევართა შეღავათები.

მაგრამ ერთი მნიშვნელოვანი შეზღუდვა ჯერ კიდევ სოციალ-ლიბერალური კოალიციის მმართველობის დროს მოხდა: 1982 წლის შემდეგ უმუშევართათვის დახმარების მიღება შეუძლია მხოლოდ იმას, ვისაც სამუშაოს დაკარგვამდე 12 თვის განმავლობაში შეჰქონდა საწევროები სადაზღვევო დაწესებულებებში.

ისიც კი, ვინც 3 წლის განმავლობაში საწევრო გადასახადს იხდიდა, უმუშევრად დარჩენის შემთხვევაში იღებს დახმარებას ბოლო რეალური ხელფასის ნაწილის სახით, რაც ამ ხელფასის 59-68 პროცენტს შეადგენს (მაქსიმუმ 1 წლის განმავლობაში). ამასთანავე დახმარებას იღებს მხოლოდ ის, ვისი შენახვაც ოჯახის დანარჩენ წევრებს არ შეუძლიათ. დახმარების მიღების ამ წესის საზიანო გავლენას მით უფრო მეტი უმუშევარი განიცდის, რაც უფრო დიდხანს გრძელდება მასობრივი უმუშევრობა. 1975 წელს უმუშევრების 10 პროცენტს ერთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში არ ჰქონდა სამუშაო, 1982 წელს კი უკვე 28,5 პროცენტს. ასეთ უმუშევრებს სოციალური კატასტროფისაგან თვით სოცუზრუნველყოფისაკენ მიმავალი გზაც კი ვეღარ იცავს, ვინაიდან 1981 წელს მიღებული კანონით „საარსებო დახმარების" ოდენობა თითქმის გაყინულია.

ფოტოფაქტი

— ინგლისი —

„ზოგავენ" მილიონებს სტუდენტთა ხარჯზე

ლონდონი. ბრიტანეთის დედაქალაქის რამდენიმე ათასი მცხოვრები მონაწილეობდა განათლების სფეროში კონსერვატორთა მთავრობის პოლიტიკის წინააღმდეგ მასობრივ საპროტესტო მანიფესტაციაში, რომელიც აქ გაიმართა.

მათ გაიარეს ლონდონის ქუჩებში ლოზუნგებით, რომლებიც შეიცავდნენ მოთხოვნას დაუყოვნებლივ გადაისინჯოს უმაღლესი სკოლის საჭიროებებისათვის ასიგნებათა „მკაცრი ეკონომიის" პოლიტიკა. საპროტესტო მარში დამთავრდა მიტინგით, რომლის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ სკოლების, კოლეჯებისა და უნივერსიტეტებისათვის სახელმწიფო დახმარების შეზღუდვის კურსმა განათლების სისტემა მწვავე კრიზისის ზღვარზე მიიყვანა. ასეთი პოლიტიკის განგრძობა, თქვეს მიტინგზე, ათიათასობით ახალგაზრდა ინგლისელს სწავლის უფლებას ართმევს. განსაკუთრებული გულისწყრომით დაგმეს კონსერვატორთა კაბინეტის გეგმები, რომ რამდენიმე ათეული მილიონი გირვანქა სტერლინგი „დაზოგონ" სტუდენტთა დიდი კატეგორიისათვის ფულადი დახმარების შეწყვეტის ხარჯზე.

სურათზე: გაზეთ „ტრიბუნიდან": ლონდონის მანიფესტაციის მონაწილე ინგლისელი მასწავლებლები.

ფოტოფაქტი

აშშ

მშიერი ვეტერანები

ამერიკის იმპერიალიზმმა ნახევარმილიონიანი არმია გადაისროლა ვიეტნამში „ბინძური ომის" გასაჩაღებლად. ეს აგრესია სიცოცხლის ფასად დაუჯდათ 50 ათასზე მეტ ახალგაზრდა ამერიკელს, მილიარდობით დოლარი — გადასახადის გადამხდელთ. ბევრი „გმირი" შინ დაჭრილი, დასახიჩრებული დაბრუნდა. პრეზიდენტმა ამ „ბინძურ ომს" ურცხვად „კეთილშობილური საქმე" უწოდა, ხოლო იმათ, ვინც სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში სისხლიან დანაშაულს სჩადიოდა, — „ადამიანის ღირსებისათვის მებრძოლნი".

ვაშინგტონმა, რომელიც დღეს მოუწოდებს ამერიკელებს „პატივი სცენ" იმათ ხსოვნას, ვინც ვიეტნამში კლავდა, აწამებდა და ძარცვავდა, მალე „დაივიწყა" ცოცხალი „გმირები". ბევრი მათგანი უმუშევრად და ულუკმაპუროდ დარჩა.

სურათზე: „თუ შეგიძლიათ, დაეხმარეთ ომის ინვალიდს" — წარწერილია ომის ინვალიდის პლაკატზე, რომელიც მოწყალებას ითხოვს თეთრ სახლთან.

ამერიკა უგრიმოდ

„ფულს სუნი არა აქვს"

ასეთია ამერიკული ცხოვრების პრინციპი

ამერიკის შეერთებულ შტატებში სიმდიდრის გულისათვის ჩადენილ დანაშაულობებს ანალოგი არა აქვს ისტორიაში. მათ ვერ შეედრება ბიბლიური ლეგენდაც კი კაენის შესახებ, რომელმაც თავისი ძმა აბელი მოკლა.

ამერიკაში ცხოვრობდა მორგანების ოჯახი. ისინი, მართალია, მილიონერები არ იყვნენ, როგორც მათი განთქმული მოგვარეები, მაგრამ ცხოვრებასაც არ ემდუროდნენ. და აი ოჯახის უფროსს სასწრაფოდ დასჭირდა ფული. ამ ქვეყანაში კი როგორც სარეკლამო პროსპექტები ამტკიცებენ, მისი შოვნის ათასნაირი ხერხი არსებობს. კლიფორდ ლი მორგანმა ერთ-ერთი ყველაზე მარტივი აირჩია. მან თავისი ცოლის ნენსისა და ცხრა წლის ვაჟიშვილის სიცოცხლე თითქმის მილიონ დოლარად დააზღვია. სადაზღვევო შესატანი მცირე არ იყო, მაგრამ მორგანი არ აპირებდა დიდხანს ეხადა იგი. ორი თვის შემდეგ ორი პროფესიონალი მკვლელი დაიქირავა, რომ მისი ოჯახი ამოეწყვიტათ. ბიზნესი ბიზნესია. იუდა სიამოვნებით იფშვნეტდა ხელებს. მისი ცოლი და შვილი მკვდარი იპოვეს საავარაკო სახლში ქალაქგარეთ: მათთვის დანით სამოცზე მეტი ჭრილობა მიეყენებინათ. ამერიკის პოლიციამ მალე მიაგნო მკვლელთა კვალს. ბოროტმოქმედებმა მაშინვე აღიარეს დანაშაული და ისინი ელექტროსკამზე დასვეს. თვით მორგანი ცოტა მოგვიანებით დააპატიმრეს, ხოლო რამდენიმე თვის შემდეგ ციხის საავადმყოფოში გარდაიცვალა ისე, რომ სასამართლომდე ვერ მიაღწია.

აქ შეიძლებოდა წერტილის დასმა. მაგრამ როგორც გამოირკვა, ამას წინათ ოჯახის ნათესავებმა მამაკაცის, ესე იგი, მკვლელის მხრიდან პრეტენზია განაცხადეს მემკვიდრეობაზე.

აღმოჩნდნენ ადამიანები, რომლებიც აღაშფოთა ასეთმა საქმის შემობრუნებამ. ამას წინათ ლოს-ანჯელესის საოლქო პროკურორის მოადგილემ ჯოზეფ ჯონსმა მოითხოვა საბრალდებო განაჩენი გამოტანონ აწ განსვენებულ ბრალდებულს. რაც უნდა უაზრო იყოს ასეთი ღონისძიება, არ შეიძლება არ დაეთანხმო მას.

იქნებ ეს მხოლოდ გამონაკლისი შემთხვევაა? სულაც არა. როგორც საქდესის კორესპონდენტი იუწყება, იმავე ლოს-ანჯელესში მიმდინარეობს სასამართლო პროცესი ტეხასელი მილიონერის ოცდასამი წლის ვაჟიშვილის უოტნეჯ კაილის საქმის გამო. ახალგაზრდა უოტნეჯ სიღარიბეს არ განიცდიდა. მამამისის ქონება დაახლოებით ას მილიონ დოლარად იყო შეფასებული.

მაინც რა მოხდა და რატომ ატყდა სკანდალი „კეთილშობილურ ოჯახში"? თურმე ერთხელ მამა შვილს დამუქრებია, რომ მემკვიდრეობას ვერ მიიღებდა და თავის მილიონებს უოტკინის ოცი წლის ძმას სკოტს დაუტოვებდა. მას კი, ისევე როგორც ქალიშვილებს, მხოლოდ მცირე ნაწილს მისცემდა. მამის ეს სიტყვები გულში ჩარჩა შვილს. მთელი ცხოვრების მანძილზე მამამისი მის თვალწინ ფულს აგროვებდა. ცხადია, ამასვეასწავლიდა შვილებს. და აი უცებ ამ ფულებს საფრთხე შეექმნა. რაც უნდა დაჯდომოდა, უნდა აღკვეთა იგი. უოტკინმა წინასწარ მოამზადა ალიბი და მამას კეფაში რევოლვერი დაახალა. საფრთხე აღიკვეთა. ეს მისთვის, ალბათ, მკვლელობაც არ იყო. ეს ბიზნესი გახლდათ — „დოლარი ხომ ყველაფერზე მაღლა დგას".

მუსიკალური კვირეულის ფურცლები

საბავშვო და მოზარდთა მუსიკის კვირეული, რომელიც ამჯერად დიდ სამამულო ომში გამარჯვების 40 წლისთავს ეძღვნება, წლეულს თბილისში უკვე მეთოთხმეტედ ეწყობა. მისი მიზანია თავი მოუყაროს და საზოგადოებას გააცნოს ახალ თაობათა ნიჭიერი წარმომადგენლები, მათი მიღწევები მშობლიური ხალხური თუ პროფესიული მუსიკის დარგში.

კონცერტები თბილისის სხვადასხვა დარბაზში გაიმართა, მათ შორის ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზშიც. მრავალმხრივ იყო საინტერესო ეს კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდნენ თბილისის პირველ საშუალო სკოლასთან არსებული მუსიკალური სტუდიის (დირექტორი თ. ცომაია) მოსწავლეები და მხატვრული აღზრდის სახლის (დირექტორი ნ. ჯიღაური) თვითმოქმედი კოლექტივები, რომელთა მომხიბლავი საშემსრულებლო ხელოვნებისა და ნიჭის მიღმა მათი პედაგოგების და სამხატვრო ხელმძღვანელების დიდი ნაშრომ-ნაღვაწი და მიზანსწრაფვა წარმოჩნდა.

კარგად იყო შერჩეული პროგრამა: პირველ განყოფილებაში მუსიკალური სტუდიის მოსწავლეებმა შეასრულეს ბახისა და მოცარტის საკლავირო კონცერტები მუსიკოს-ქორეოგრაფთა საზოგადოების კამერულ ორკესტრთან თბილისის „კამერატასთან" ერთად. სამხატვრო ხელმძღვანელმა და მთავარმა დირიჟორმა შავლეგ შილაკაძემ ორკესტრის დახვეწილი და გამჭვირვალე ჟღერადობით ხელი შეუწყო მოზარდ შემსრულებლებს სტილის სინატიფის განცდაში და სუფთა ინტონირებაზე დამყარებული ჩინებული ანსამბლი შექმნა, რომელშიც ჩანდა მოსწავლეთა მიერ ბგერის, ფრაზის გააზრების კულტურა, კომპოზიციის მთლიანი აღქმის უნარი. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს პედაგოგ ნინუას კლასის მოსწავლეთა ე. გაბადაძის, მ. გაბისონიასა და ე. ჩიქვაიძის მიერ შესრულებული ბახის კონცერტები, რომლებითაც მუსიკალური კვირეული ერთგვარად გამოეხმაურა გენიალური ხელოვნის 300 წლისთავის იუბილეს — „ბახის წელიწადს". კარგად შეასრულა მოცარტის კონცერტი № 14 მოსწავლემ ნ. შარაბიძემ (დამსახურებული პედაგოგის, დოცენტ ფირალიშვილის კლასი).

მეორე განყოფილება დაეთმო მხატვრული აღზრდის სახლის კოლექტივებს. დიდი მოწონება ხვდა ხალხურ საკრავთა ორკესტრს (ხელმძღვანელი — რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ო. კელაპტრიშვილი), ქორეოგრაფიულ ანსამბლს (ხელმძღვანელი — საქართველოს სახალხო არტისტი ფ. სულაბერიძე), გოგონების კაპელას (ხელმძღვანელი ა. ჩხენკელი).

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ბიჭუნების ანსამბლი „მართვე" (სამხატვრო ხელმძღვანელი — საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ა. ერქომაიშვილი, ლოტბარი — რ. მიქაბერიძე), რომლის პროფესიულმა კულტურამ, შესრულების სტილმა, რეპერტუარმა დღიდან დაარსებისა, ჩვენი საზოგადოების გამორჩეული ყურადღება დაიმსახურა და უცხოეთის ქვეყნებშიც გაითქვა სახელი. „მართვეს" მონაწილეობამ განსაკუთრებული ელფერი მიანიჭა მუსიკალურ კვირეულს, რადგან დღეს ეს საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე მაღალი კვალიფიკაციის მოსწავლეთა შემოქმედებითი გუნდია, რომელიც არა მარტო პროპაგანდას უწევს ჩვენს მრავალსაუკუნოვან ხალხურ მუსიკალურ კულტურას, არამედ წარმოაჩენს ერის შემოქმედებითს ენერგიას და მოზარდი თაობის აღზრდის სამომავლო გზებზეც მიგვითითებს. „მართვეს" ამავე დროს ისეთი მომნუსხავი ძალა და ხიბლი აქვს, რომ ყველა მსმენელს მიახედებს თავისი ხალხის შემოქმედებისაკენ და მუხრან მაჭავარიანის სიტყვებით რომ ვთქვათ, ამ სურვილს აღუძრავს: „თუნდ ერთხელ, ოღონდ ურმული მამღერა ხელში სახრითა"... გარკვეული აზრით მუსიკალური კვირეულის მიზანიც ხომ სწორედ ეს არის.

ნანა ქავთარაძე.

ტკივილის აცილება შეიძლება

სსრკ. რეფლექსოთერაპიის ცენტრალური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლებმა შექმნეს მინიატურული აპარატი, რომელსაც შეუძლია ნებისმიერი ტკივილის გაყუჩება. აპარატს „ჩენსი" დაარქვეს, რაც შემოკლებით „კანის ელექტრონეიროსტიმულატორს" ნიშნავს. „ჩენსმა" უკვე გაიარა კლინიკური შემოწმება და დადებითი შედეგები აჩვენა. ექსპერიმენტები პირველ სამედიცინო ინსტიტუტში ტარდებოდა. პროფესორ ს. ზოლნიკოვის თქმით, აპარატი აბსოლუტურად უვნებელია და მისი მოქმედების პრინციპი იგივეა, რაც აკუპუნქტურისა.

პრობლემა, ჰიპოთეზა, ფაქტი

ინგლისელმა ანთროპოლოგმა ჯ. ვენტმა 1869 წელს. მაგრამ ამ მოვლენის მიზეზები დღესდღეობითაც არ არის მთლიანად გარკვეული.

მეცნიერთა ერთი ნაწილი თვლის, რომ ბავშვები მალე ვითარდებიან იმ ქვეყნებში, სადაც ცხოვრების დონეა მაღალი. და ეს ბუნებრივია — კვებისა და სამედიცინო მომსახურეობის გაუმჯობესება უთუოდ ხელს უწყობს ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებასაც.

მეორე ჰიპოთეზის მიხედვით ძირითადი მიზეზი შერეული ქორწინებებია, მესამე ჰიპოთეზა ორგანიზმის განვითარებაზე მზის აქტიურობის გავლენას ვარაუდობს. მეცნიერები კიდევ ბევრ მიზეზს ასახელებენ: ალუმინისაგან დამზადებული საოჯახო ჭურჭლის მასიურ მოხმარებას, ცხოვრების ტემპის ზრდას, რენტგენის სხივების ხშირ გამოყენებასა და სხვა.

ერთ-ერთი უკანასკნელი თეორია ეხება რადიოტალღების გავლენას აქსელერაციაზე. ჩვენი საუკუნის 30-იანი წლებიდან რა-[illegible]

ლაყუჩები

[illegible]

ქროში

ნოველა

[illegible]

გაზაფხულის სუნთქვა

თბილი, მზიანი ამინდია შავი ზღვის სანაპიროზე. ბათუმის პარკებსა და ბაღებში აყვავდა ხეები და ბუჩქები — მიმოზა, დეკორატიული კომში, კამელია. მეზამთრია. პიონერთა პარკში ნიადაგ ვარჯიშობენ სპორტსმენები...

სურათებზე: პედაგოგი ქეთინო ქადაგიძე აყვავებულ მიმოზასთან; ბათუმის პიონერთა პარკში.

ნ. ანასტასიევის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).



ყაბახი

ლენინგრადი ეპატიჟება თეთრ ოლიმპიადას

სსრ კავშირის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პლენუმი

სსრ კავშირის ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა 29 მარტს გამართულ პლენუმზე კვლავ დაადასტურა, რომ გადაწყვეტილი აქვს ხელი შეუწყოს ოლიმპიური მოძრაობის განმტკიცებას, აღნიშნა, თუ რაოდენ დიდ როლს ასრულებს სპორტი სხვადასხვა ქვეყნის სპორტსმენებს, ახალგაზრდებს შორის ურთიერთგაგების, მშვიდობისა და მეგობრობის მიღწევის საქმეში. მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარემ მ. ვ. გრამოვმა.

მიღებულ დადგენილებაში საკავშირო სპორტულ ფედერაციებს დაუსახეს ამოცანები — უფრო აქტიურად შეუწყონ ხელი ქვეყა-[illegible]

სატურნირო ორბიტა

[illegible]

ჩვენი ტელეეკრანისთვის

მოსკოვი

31 მარტი

[illegible]

1 აპრილი

[illegible]

თბილისი

31 მარტი

[illegible]

1 აპრილი

პირველი პროგრამა. 16.15 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.25 — ჩვენს დი-[illegible]

თეატრი

31 მარტი

[illegible]

თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამო" სტადიონი

7 აპრილი

ფეხბურთი

[illegible]

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია იუწყება, რომ 1985 წლის 2 აპრილს [illegible] ლავენ გამოჩენილი ქართველი მეცნიერის, აკადემიკოს კორნელი კეკელიძის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად წარმოდგენილ ნაშრომებს.

განხილვაში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველას.

სხდომა გაიმართება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის შენობაში, მისამართი: რუსთაველის გამზირი, № 52, IV სართული, ოთახი № 423.

რედაქტორი

ვ. გედინეიშვილი.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე 06125 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსი, ხმელანია 29. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20